ეროვნული
ბიბლიოთეკა



ISSN 0130—1624

# დროშა

აგვისტო

№8 1982 წ.




მხატვარი თენგიზ სამსონაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ურღვევი მეგობრობა და ძმობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კ. ს. დემირჩიანი,**
სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
პირველი მდივანი

ახლოვდება საბჭოთა ხალხის შესანიშნავი დღესასწაული — ერთიანი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავი. ეს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა, პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების, საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობისა და ძმობის დადასტურებაა.

საბჭოთა სომხეთის მშრომელები ისწრაფვიან სახელოვანი იუბილე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული ახალი წარმატებებით აღნიშნონ.

მშობლიური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი მეთაურის, დიდი ლენინის საქმის ერთგული განმგრძობის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გარშემო მჭიდროდ დარაზმული რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ და მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ისინი თავიანთ ძალისხმევას, გამოცდილებასა და შემოქმედებითს ენერგიას ახმარენ პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, სასურსათო პროგრამის რეალიზაციას, მათ ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება საიუბილეო წლის გეგმებისა და ვალდებულებების და მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებების შესასრულებლად.

# ჩემი პირველი საეტაკი გრძნობები

## მოთხრობა

ვარდგეს პეტროსიანი

ენრიკო კარუზო ვერ გავხდი — ვერ გავუმართლე იმედი სოფლის ბიჭებს, ვისთვისაც ვმღეროდი ჩვენი ბავშვობის მრუმე ღამეებში. არ ვინდომე მასწავლებლობაც, დედა ასე რომ ოცნებობდა... მხატვარიც ვერ დავდექი, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, ამაში მაინც მწყალობდა ღმერთი. მე ხომ ოთხი-ხუთი წლიდან მოყოლებული, ჯერ იყო და, ჩვენი სახლის, შემდეგ კი მთელი სოფლის თეთრი კედლები სულ აჭრელებული მქონდა, ვხატავდი ქაღალდზე, ტილოზე, ფანქრით, ცარცით, ნახშირით, რაც ხელში მომხვდებოდა. ბოლოს და ბოლოს, უბრალო, რიგითი დამპროექტებელი გამოვედი (მყვირალა სიტყვა ხუროთმოძღვრის ხმარებას როგორ გავბედავ!), ერთფეროვან, მსგავს შენობებს ლამაზად რომ აწიკწიკებს. ცოლს ბედოვლათი ვგონივარ, ბიჭიც გვარიშვილობით ვერ დაიკვეხნის. და მარტოობისას, სევდა რომ მომერევა, ბავშვობის ხმებს გადავძახებ ხოლმე. ვით ცოცხალ, სულიერ არსებებს მივმართავ, შევუყიჟინებ, გაიღვიძეთ-მეთქი, — ვუბიძგებ, დიახ, ვუბიძგებ, — აავსეთ წიაღნი ჩემნი მოძრაობითა და სიწმინდით, არ დამაბეროთ! ისინიც თავს იღერებენ და აიშლებიან

* * *

— ოქროს საათი ვინახავს? — შორეთიდან მესმის ნორიკის ხმა.

— ჩვენი სკოლის საათი, არ ვიცი, რისია, ოქროსი ხომ არაა?

— შტერო! — ხითხითებს ნორიკი, — ასე რომ ყოფილიყო, იცი, რამდენი კილო ოქრო წავიდოდა?

— მაინც რამდენი?

— ბევრი.. მერე, როგორ მუშაობს! — მარცხენა მაჯას ყურზე მადებს, — გულივით...

საათი ნელა წიკწიკებდა. შემდეგ ნორიკმა ნება მომცა, ისრები, ციფრები გულდასმით შემემოწმებინა.

— ბიძაჩემმა გერმანიიდან ჩამომიტანა, ბაჯაღლოა.

ბაჯაღლო ოქროზე წარმოდგენა არა მქონდა, ისე კი, წმინდა ხორბალი ბევრად მერჩივნა. „ომი დამთავრდეს, —ინატრებდა დედა, — ფულს ვიშოვი, ეღვარდიდან ათ ფუთ ხორბალს ჩამოვიტან, წავიღებ, დავფქვავ, არაფერს გავურევ, ბავშვები დაძღებიან“.

— ბიჭოს! — ტიტინებს ნორიკი, — სარქველიც ჰქონია, ოქროსია, გინდა, ნახე!

— კარგი.

საათი დიდი ამბით მოიხსნა, გამომიწოდა.

— არ გაგივარდეს, — მითხრა — დააწექი, გაიხსნება.

ხელი დავაჭირე, შიგნიდან რაღაც გამოვარდა. ოი, ეს ხომ ჩვენი მეზობელი მანუშია! პაწაწინა სურათია, თვალს ვერ ვაცილებ, ოქროს საათი ვიღას ახსოვს!

— მოიცა, დაღამდეს, ისეთი კონცერტი გავმართოთ, ძამიკო, — თქვა ნორიკმა, — ერთი კარგად დავამღეროთ!

რატომაც არა, თვითონაც ბანს მომცემს მეთქი. თუმცა ჯობს, ყურები დაიცო და მოუსვა. მანუშაანთ ფანჯარასთან ავიტუზე, კედელს მივეყუდე, ყელი მოვიღერე და შემოვძახე. თვითონ ქვაზე ჩამოჯდა, ერთს რომ დავამთავრებდი, მანიშნებდა, ახლა სხვა იმღერეო.

ჩანს, კარგად ვმღეროდი, მარტო ნორიკი კი არა, სხვა ბიჭებიც რიგრიგობით მამღერებდნენ. აი, დაკვრაც რომ მცოდნოდა! რა უნდა, ვისწავლი-მეთქი... შარშან ერთი ტიპი თარს ყიდდა. ხუთი-ექვსი ცალი ექნებოდა. ჯერ ისევ ომი იყო. ის კი თარებით ვაჭრობდა. ტირილით დედას შევეხვეწე, რა იქნება, მიყიდე-მეთქი. დედა ქუჩაში გავიდა, შეევაჭრა და დაღვრემილი დაბრუნდა. „ამ ფასად რვა კილო ხორბალს ვიყიდით, — ასე მითხრა, — რვა კილო ხორბალი რომ მოგვცა, რაღა გვიშავს, დავფქვავთ, კარტოფილს გავურევთ და კაი თხუთმეტი კილო პური დადგება“.

ისე რომ, თარი არ მიყიდეს, სახმო სიმების იმედზე დავრჩი, ის კი მუქთია, მაშ ხორბალზე არ გაიცვლება. მაგრამ ჩემი ბავშვობის შორეულ ქუჩებში ხანდახან მაინც მესმის თარის ხმა, თარისა, არასოდეს რომ არ მქონია და არც მიმღერია...

— არამს შევპირდი, — გავანდე ნორიკს, — მწვანეთვალება სედას უნდა ვუმღერო-მეთქი.

— მომეცი საათი! — ნორიკს სწყინს, — იგი 16-17 წლისაა, ჩემზე 4-5 წლით უფროსი, მაგრამ ისე იბუსხება, თითქოს პატარაა, — ასეთი საათი სოფელში ჯერ არავის უნახავს, ბაჯაღლო ოქროსია. მანუშს გადაეცი.

— სურათზეც გავახსენო?

— უთხარი, თითქოს გაგაფრთხილე, მასთან არაფერი წამოგცდეს.

— მაინც რატომ? — გაოცებული ვეკითხები.

— გაიზრდები და გაიგებ.

ახლა ვფიქრობ, განვლილი ცხოვრების ფირს უკუდავატრიალებ, მოგონებათა ღილაკს თითს დავაჭერ და ამეტყველდება,

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**დროშა**

№8 (548) აგვისტო. 1982

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ხუტა ბერულავა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1982 წ.

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ნათელა ჩიორაზოზიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, ოთარ თურქია, რევაზ მარგიანი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# სომხეთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა









- ვარდენ მამიკონიანის ძეგლი ერევანში.
- ახალგაზრდობის სასახლე ერევანში.
- მატენადარანი.
- სომხეთის ტელესტუდიის თეატრის მსახიობი მაირანუშ კრიგორიანი.
- ხიდების მშენებელთა ინტერნაციონალური ბრიგადა. მარცხნიდან მარჯვნივ: მელს მხიტარიანი, ვლადიმერ ელისეევი, იჯევან-რაზდანის № 39 ხიდმშენის უბნის უფროსი რომან ტახნაკიშვილი, ვლადიმერ ლიტვიაკოვი, ანატოლი კაპლინი და რუბენ ავაკიანი.
- სევანის თევზკომბინატის კალმახის მეურნეობა.
- ზღაპრის დღე ერევნის საბავშვო ბიბლიოთეკაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა









აკვნესდება, გარდასულ დღეთა გამოძახილს მოვისმენ-მეთქი.

იმ შემოდგომაზე აშკარა გახდა, ჩვენს სოფელს რამდენი მამა, ძმა და საქორწილო ვაჟკაცი გამოჰკლებოდა. მართალია, ომიანობის დროს ვაჟკაცები სანთლით უნდა გეძებნა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ სხვაგან არიან, იბრძვიან, საქვეყნო ვალს იხდიან და სჯეროდათ, რომ გაიმარჯვებდნენ, დაბრუნდებოდნენ, ეს კი ყველას როდი ეღირსა. სოფელში, ცხადია, გოგოები მომრავლდნენ. ვილა შეიყვარებდათ? ამასობაში კარგად მორწყულ ყანასავით წამოიზარდა ახალი თაობა. ჩვენ, თორმეტი წლის ბიჭები, შურით ვივსებოდით, დალაქ ხოსროსთან რომ დადიოდნენ, პაპიროსს ექაჩებოდნენ.

— არამს როდის გაუვლი?

— რა ვიცი? როგორც კი დაბინდდება.

— მერე სადმე სედაანთ უბანში მნახავ.

— საშინაო დავალება არ შემისრულებია. — ვეუბნები, — საზეპიროც მაქვს, ლაზაროს აღაიანის ლექსი „ართე, ართე, ჩემო ჯარავ!"...

— ერთი რომ იმღერო, არ მოკვდები.

ნორიკი გაღიზიანებულია, ღელავს, შემდეგ რატომღაც თავს ისაწყლებს. ისე კი, ჩვენს სოფელში ყველაზე ღონიერი ბიჭია, მანუშიც ულამაზესი გოგოა.

— მანუშთან ხომ არაფერს დამაბარებ? — თითქოს გამოსავალი ვიპოვე, — როცა მინდა, ვნახავ. წერილს თუ გამატან, ახლავე წავუღებ.

— უთხარი, საღამოს კინოში მოვიდეს, ბოლო რიგში დაჯდეს, მეზობელი სკამიც დაიკავოს. შუქი ჩაქრება თუ არა, თითქოს მიწიდან ამოვალ და გვერდით მივუსკუპდები.

— ჩათვალე, რომ მითქვამს.

ნორიკს სახე გაებადრა:

— გინდა, საათს მოგცემ, ცოტა ხანს გეკეთოს?

...ამას წინათ, აბოვიანზე, პურის მაღაზიაში შემხვდა მანუში. ვერ გათხოვდა. შინაც სამი შინაბერა და ჰყავს, ხოლო უმცროსი — გაიანე, სამჯერ გათხოვდა და ქმარს გასცილდა. ვერ მიცნო, თუმცა მის თეთრ, ჩაპუტკუნებულ სახეს დიდხანს მივჩერებოდი. იისფერი სათვალის მინაში თვალები არ მოუჩანდა.

... იმ დღეს, მახსოვს, ნორიკის ოქროს საათზე, მის პაწაწა, მშვენიერ სურათზე, ახლა რომ ოქროს ჩარჩოშია ჩასმული, სიტყვა როცა ჩამოვუგდე, ეშმაკურად გაიღიმა და ყური ამიწია: „კარგი ამხანაგი კი მოგინახავს". წვრილი, თბილი თითები, გრძელი და პრიალა ფრჩხილები ჰქონდა.

შემდეგ გავუმხილე, ნორიკი კინოში დაგიცდის და, როგორც კი შუქს ჩააქრობენ, თითქოს მიწიდან ამოვა, გვერდით მოგისკუპდება (ასეც ვუთხარი, ამოვა-მეთქი). მან გაიღიმა, „რაო, ლობიო ხომ არ არის, ამოვიდეს?" შემდეგ გამიჯავრდა: „ჯერ ბავშვი ხარ, მაგრამ ისე იქცევი, თითქოს ველოსიპედ-არმო იყო". ჩვენს სოფელში ერთადერთი ორბორბლიანი ველოსიპედი ფოსტალიონ არმოს ჰქონდა. „ველოსიპედი კი არა, მფრინავი ხალიჩაა", — ტრაბახობდა იგი. არმო ცალი ფეხით კოჭლობდა, ერთი თვალიც დავსებოდა. ჩვენი სოფლის ჭორები ამ ბორბლებზე დადისო, იტყოდა ხოლმე დედა. მანუშისგან მეწყინა. ამას კი არ მოველოდი. „ენატანია არა ვარ, მაგრამ, აი, ნახავ, ერთ მშვენიერ დღეს, ნორიკი შენი გულისთვის თავს რაღაცას აუტეხს. თვითონ მითხრა, მამას გეფიცებიო". მანუში მოლბა, დაშოშმინდა, უცებ ჩამიხუტა, გულში მაგრად ჩამიკრა და ნორჩი ქალწულის გამაბრუებელი სურნელი, — ათქვირებული მკერდის სითბო ვიგრძენი. კინაღამ გადავირიე. თავი სიზმარში მეგონა. შემდეგ ლოყაზე მაგრად მაკოცა. „წადი, — მითხრა, — ნუთუ არ იცის, დედა კინოში მარტო რომ არ მიშვებს?"

წლები გავიდა და მერეღა მივხვდი, მანუში და ჩვენი სოფლის სხვა გოგონები რომ მეხვეოდნენ და მკოცნიდნენ, თურმე თავიანთ შეყვარებულებს ეხვეოდნენ და კოცნიდნენ. მეც იმავე სიტყვებს მეუბნებოდნენ. სამწუხაროდ, ეს სიტყვები გზაშივე შემომეფანტა, ჩემად რომ დავიგულე. შენსას კი თურმე ადვილად კარგავ. ეს სიტყვა-ამბორი გულში სათუთად უნდა შემენახა, აქამდე მომეტანა და შეუბღალავად გადამეცა ჩემი უფროსი ამხანაგებისთვის, რომლებმაც თავიანთ პირველ უმწიკვლო სიყვარულს მაზიარეს. რა იცოდნენ იმ სულელებმა, რომ ეს ჩემი პირველი სიყვარულიც იყო...

მწუხარე, ნეტარი და წმინდა იყო მაშინ ჩვენი სულები...

და, აი, ამას წინათ, აბოვიანზე, პურის მაღაზიაში მანუში შემხვდა. ჩასუქებული, ჩამრგვალებული, მაგრამ ჯერ კიდევ გაუთხოვარი ქალი პურს გაფაციცებით და დაძაბული არჩევდა. შემდეგ გამყიდველს შუაზე გააჭრევინა, ნახევარი ჩანთაში ჩადო, ნელინელ ხალხის ტალღას შეერია და თვალს მიეფარა. ნორიკს ახლა ოთხი ბავშვი ჰყავს, სწორედ იმ მწვანეთვალება სედასგან, რომლის ფანჯარასთან ატუზულმა, იმ ღამით, არამისთვის ვიმღერე. ჩემი სიმღერა წერილიც იყო, დეპეშაც და ტელეფონის ზარიც, სევდაც და ლოდინიც, რისხვაც და იმედიც.

* * *

...იმ ღამით კი სევდიანი სიმღერები ვიმღერე. არევიკის ქორწილი იყო. ჯარიდან ახლად დაბრუნებულ ოშაკანელ ლეიტენანტზეათხოვებდნენ. თუმცა მთელმა სოფელმა იცოდა, რომ სევ-საჰაკს გაგიჟებით უყვარდა. მის ფანჯარასთან, ვინ იცის, რამდენჯერ გვიმღერია! ერთხელ არევიკმა მასთან წერილი გამატანა, ახლა კი სხვას მიჰყვება, მიდის... ოშაკანში. ჩვენს სოფელში ომის შემდეგ ეს პირველი, მაგრამ მაინცდამაინც დიდად სახარბიელო ქორწილი არ იყო. არევიკის ძმა ომში დაიღუპა, მამა ფრონტიდან ხეიბარი დაბრუნდა, ხოლო ოშაკანელ ლეიტენანტს, მკერდს ორი მედალი რომ უმშვენებდა, დიდძალი ტანსაცმელი, ჭურჭელი, პიანინოც კი ჩამოეტანა.

არევიკაანთ ოჯახს უბნის ყველა ნათურა შინ დაეკიდა, ვისაც კი რა ჰქონდა, თეფში, დანა-ჩანგალი, ჭურჭელი ჰქონდა, აქ მოეზიდა. მუსიკა, ცხადია, არ იქნებოდა, მით უმეტეს, რომ კარის მეზობელსაც ერთ ომში ქმარი და ვაჟი დაღუპოდა, მარტოდმარტო დარჩენილიყო, მთელი დღე სახლის წინ ქვაზე იჯდა, ვიშვიშებდა და ნაკადულში კენჭებს ისროდა. დამკვრელები არ ჰყავდათ, მე კი მჭახედ, მღელვარედ და ძრთოლვით ვმღეროდი: „შევიყვარე და... წამგვარეს იარი".

უკვე მესამედ ვმღეროდი, ხოლო მხარბეჭიანი, კეთილი და ძლიერი სევ-საჰაკი კედელზე ხაჩქარივით გაკრული ყრუდ გმინავდა.

— არევიკი მიჰყავთ, — სიმღერა შევწყვიტე და სევ-საჰაკს ნელა ვუბიძგე. რადგან ჯერ სახლის, შემდეგ კი ეზოს კარი გაიღო და ახოვანი კაცი გამოვიდა.

სევ-საჰაკმა რაღაც ამოიღუღღუღა, სახლისკენ არც კი მობრუნებულა, ისე თქვა: „იმღერე, ჩემი კუბო ნახე, თუ არ იმღერო..."

შევიყვარე და... წამგვარეს იარი,
უკურნებელი მაჩნიეს წყლული...

ჩემი ხმა ღამის მყუდროებაში მკვეთრად ჟღერდა. გარეთ გამოსულებმა მიმოიხედეს, მათ შორის ოშაკანელი ლეიტენანტი ადვილად გავარჩიე, ვინაიდან სიბნელეში მისი ორი მედალი კარგად ბრწყინავდა. არევიკი გვერდით ატუზული მიჰყვებოდა, მართლაც, რა მუხთალია წუთისოფელი!.." ვმღეროდი, მეზობლის ეზოში ძაღლი წკმუტუნებდა, თითქოს ბანს მაძლევდა. ყელში მობჯენილ ცრემლს ძლივს ვიკავებდი, არევიკი ხომ ჩემი პირველი სიყვარულიც იყო!

...სევ-საჰაკი ახლა ჩვენი სოფლის გზაზე ბენზინს ყიდის. ორი წლის წინ შემხვდა, ნიშნის მოგებით გაიღიმა და თქვა, არევიკის ქმარი, ყოფილი ოშაკანელი ლეიტენანტი, არ ვიცი, ომის შემდეგ რა ბნელ საქმეებს ეწეოდა, დაუპატიმრებიათ და რვა წელი მიუსჯიათო. ცოტაა, ათიც უნდა მიეცათო, დაუმატა და სიმწრით გაიბოლა.

* * *

...ერთ ღამეს ამბერდში წავედით.

სოფელში, სკოლის წინ, ომში დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად ძეგლი აღემართათ. დღისით გახსნა იყო, კაცებმა დალიეს, ქალებს დარდი აეშალათ, იტირეს, ახალგაზრდები კი ჩვენს ნებაზე მიგვიშვეს.

ვარსკვლავები გზას გვინათებდნენ. სულ ათი-თერთმეტი ბიჭი და შვიდი-რვა გოგო ვიყავით. ბოლოში ხორაგით, ფარდაგებით, ჭურჭლით დატვირთული სევ-საჰაკაანთ ვირი მოჩანჩალებდა. რომ დავიღლებოდი, შემსვამდნენ და მამღერებდნენ. ისე რომ, იმღამინდელი სიმღერა ვირზე ჯდომის ფასად დამიჯდა.

ბინდისას ჩავედით. ეკლესია და ციხე მუქი ნაცრისფერი ცის ფონზე ბუნდოვან, მოლურჯო-შავად შეფერადებულ გოლიათებს მოგაგონებდათ.

გოგოებმა ხალიჩა დაფინეს, ბიჭები ფიჩხის შეგროვებას შეუდგნენ, კოცონი რომ დაენთოთ, მე კი ვიჯექი, ჩაფიქრებული ცას შევყურებდი და ვფიქრობდი, ვარსკვლავები დღისით სად მიდიან, რამდენი

ომი გამოიარა მთვარემ, რა იქნებოდა. ამბერდში დალუპული გმირები უცებ მკვდრეთით აღმდგარიყვნენ, მხარში ამოგვდგომოდნენ, სუფრას შემოსხდომოდნენ-მეთქი... „ჰოვიკ, — ჩემი სახელი მომესმა, მარიამიკი მეძახდა, — ჰოვიკჯან, ეს სანთელი აიღე, გამომყევი. წყალში ჩავვარდი, დავსველდი“. მარიამიკი, მართლაც, თავით ფეხამდე გალუმპულიყო, ძაგძაგებდა. „წავიდეთ, — ვუთხარი, — აქ ვარ, ნუ გეშინია“.

საყდრის ეზოში ბნელოდა. აქეთ-იქით ვიწრო სენაკები ჩანდა. კედელი ჩამონგრეულიყო, მაგრამ არა უშავდა. „აქ შევალ, — თქვა მარიამიკმა. სანთელი კედელზე მიამაგრე და წადი“. „კედლის უკან დავდგები, — ვუთხარი, — დავუსტვენ, ანდა, გინდა, დაბალ ხმაზე ვიმღერებ. მაინც რა გიმღერო?...“ „იმღერე „შენს ფანჯარასთან ვდგავარ“,—აცახცახებულმა მარიამიკმა ჩაილუღლუღა, — ოღონდ ჩუმად, არავინ გაგვიგოს...“ სანთელი ქვას მივამაგრე და კედლის უკან გაველი. კედელი მინგრეულ-მონგრეული იყო და ხვრელში ხელი გავყავი: „აქა ვარ, ნუ გეშინიამეთქი“,—დავაიმედე. მარიამიკმა ნაზად გაიღიმა და მითხრა: „ნუ იხედები, ჰოვიკ, იმღერე“. ბალახზე წამოვწექი და ნაზად — ასე ნაზად ვარსკვლავები თუ ჩურჩულებენ — დავამღერე. ფეხის ხმა მომესმა. ჰრაირი იყო. „აქ რას აკეთებ?“ — მკითხა, — „მარიამიკი შიგნითაა, ტანსაცმელს იცვლის, მე კი ვყარაულობ“, — მივუგე. ჰრაირი ხვრელს მიუახლოვდა, წამოვხტი, წინ გადავუდექი, მარიამიკაანთ ფანჯარასთან ჰრაირისთვისაც ხშირად მიმღერია. და ყოველთვის, სიმღერას რომ დავამთავრებდი, მარიამიკი მეტყოდა: ყოჩაღ, ჰოვიკჯან, ახლა მოუსვიო. ისე მეუბნებოდა, თითქოს ჰრაირს სულაც ვერ ხედავდა... ხვრელიდან ვიჭვრიტებოდი. მარიამიკს ძოწისფერი კაბა გაეხადა, წურავდა, რომ მალე გამშრალიყო. შემდეგ ქვებზე დაფინა და ახლა პერანგიც გაიძრო. სანთელი აპარპალდა. „არ შესცივდეს!“— ჰრაირს ჩავჩურჩულე, მან კი რატომღაც პირზე ხელი ამაფარა. კანკალებდა. „შენცა გცივა, ჰრაირ?“ — „ვირო! — ყურში ჩამძახა ჰრაირმა, — შე მართლა ვირო“. ახლა მარიამიკს ყველაფერი გაეხადა, გაშიშვლებულიყო და სანთლის შუქზე დედიშობილა იდგა. „რა წერწეტა ტანი ჰქონია“, — ჰრაირს ჩავჩურჩულე, იგი კი მთლად ცახცახებდა, ხმა არ ამოიღო. მარიამიკმა სველი თმა მხრებზე გადაიყარა, შემდეგ ძუძუ-მკერდზე ხელი გადაისვა, თითქოს თავს იწონებსო... რაღაც ქრუოლამ ამიტანა. რა ლამაზი იყო ეკლესიის იდილიურ სიჩუმეში მარიამიკი. სანთლის მკრთალი შუქი მხრებზე აბრეშუმივით ეფინა. „რას უყურებ, — ვიგრძენი, რომ ჰრაირმა ხელი მკრა. — შენც ხომ ბიჭი ხარ, რაზე უყურებ?“... უცებ მარიამიკის ხმამ გამომაფხიზლა: „ჰოვიკ, სადა ხარ, რატომ არ მღერი?“ — „იმღერე, — ჩაიბუტბუტა ჰრაირმა, ხვრელს მოსცილდა, — ჩემი კუბო ნახე, თუ არ იმღერო“. მაშინ კი ვისურვებდი, რომ ჰრაირი რამდენიმე წუთით დამემარხა. მაგრამ მარიამიკი შემეხმიანა და მეც ვიმღერე:

შუაღამეა.
შენს ფანჯრებთან ვდგავარ ეული,
შენ კი ძილში ხარ — თრობის ბანგით
სიზმარეულით.

...ახლაღა მივხვდი, ხელი რატომ მკრა ჰრაირმა, არ უნდოდა, მარიამიკისთვის შემეხედა. იგი ხომ ჩემი პირველი სიყვარულიც იყო! ამიტომაც, დილას, კლდის ქიმზე, ზეთის საღებავით ჩვენი სახელები რომ გამომყავდა და მარიამიკის სახელი თავში დავწერე, ჰრაირს შეშურდა, ახლა ჩემიო, მითხრა, მწყრალად შევხედე, ჩემი სახელი და გვარი იქვე კოხტად მოვხაზე, მისი სახელი კი, ჯინაზე, მარიამიკის სახელისგან შორს, ბოლოში მივჩხაპნე.

...წლების მატარებელი თანდათან მაშორებდა ამბერდის იმ ღამეს, ვინ იცის, ჩემი ბავშვობის უკანასკნელი სადგური რომ იყო... მაგრამ ხანდახან ახლაც მისი ხატება ხორცს ისხამს, მოჩვენებასავით გამომეცხადება, საყდრის მუქ სილურჯეში სანთლის კამკამა შუქი ვერცხლისფრად აელვარებულ სხეულზე მოუხამს, დგას, თმას ივარცხნის, ივარცხნის და თავს იწონებს მარიამიკი...

* * *

მომღერალი, მასწავლებელი და ნამდვილი ხუროთმოძღვარი ვერ დავდექი. რას იზამ, ცოლმა ბედოვლათად ჩამთვალოს, შვილიც გვარიშვილობით ნუ დაიკვეხნის. მხატვარი რომ ვერ გამოვედი, ამაზე კი მწყდება გული. სულ რომ არაფერი, ჩემი ბავშვობის ხმებს მაინც გადავიღებდი-მეთქი. დიახ, ხმებს ფერი და ხორცი აქვთ — ნაღვლობენ, ნატრობენ, უხარიათ. ჩემი ბავშვობის ხმები ჭიაფერის სურათებია, ეს ფერი კი უკვდავია...

მარიამიკ, მანუშ, არევიკ, სადა ხართ? ხმა მომაწვდინეთ თქვენს პატარა მეგობარს, ოცდაათი წლის შემდეგ რომ გიტყდებათ სიყვარულში.

სომხურიდან თარგმნა
**მამიკონ თაქორიანმა.**

## ერევანი,
## ვარდგეს პეტროსიანს

ძვირფასო ვარდგეს!

ჟურნალ „დროშის“ 1982 წლის მერვე ნომერში, რომლის მასალების თვალსაჩინო ნაწილი მოძმე სომხეთს ეძღვნება, მოთავსებულია თქვენი მშვენიერი მოთხრობა „ჩემი პირველი სპეტაკი გრძნობები“.

რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე ეს ნომერი დაიბეჭდებოდა, გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დიდი დამსახურებისა და დაბადების 50 წლის თავთან დაკავშირებით ოქტომბრის რევოლუციის ორდენით თქვენი დაჯილდოების შესახებ.

ჩვენი ჟურნალის მკითხველები თქვენ კარგად გიცნობენ როგორც უნიჭიერეს მწერალს, შესანიშნავ საზოგადო მოღვაწესა და კეთილშობილ ადამიანს, როგორც ქართველი ხალხის გულითად მეგობარს. თქვენი არაერთი ნაწარმოები თარგმნილია და გამოქვეყნებული ქართულად, მათ შორის „დროშის“ ფურცლებზეც.

ჟურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგია მრავალრიცხოვან მკითხველთა სახელით გილოცავთ სახელოვან იუბილეს და სამშობლოს მაღალ ჯილდოს.

მრავალ ახალ შემოქმედებით სიხარულს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას გისურვებთ, ჩვენო კეთილო ძმაო და მეგობარო!

ჟურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგია.

**სილვა კაპუტიკიანი**

# ჩემი ხალხისადმი

რომ შეგძლებოდა ჭირთა გაძლება,
ნაპერწკლით სავსე ანბანი შექმენ,
არარატს ახლო, შენსავე სულში
არარატივით მწვერვალი შექმენ...
ქვა-ლოდი იყო მიწაზე მეტი,
სიკვდილი იყო ქვა-ლოდზე მეტი...
რომ დაგეძლია ქვა და სიკვდილი,
ბევრი უკვდავი ჩუქურთმა შექმენ!

შენ ერთი ხელით მეალერსები
და მეორით კი ამ გულს მისერავ.
გაჯავრდები და თმებს ამიწეწავ,
იმავე წუთში ცრემლად იღვრები...
სომხეთო ჩემო, დედაო, შეხე,
როგორ გამორბის შვილი შენივე,
რომ შენს კალთაში კვლავ თავჩარგულმა
გამოიტიროს თავისი დარდი.

მეგობართაგან დავკარგე ბევრი
ამ უძნელეს და უშორეს გზებზე.
ო, რა უეცრად გაქრნენ ისინი
იმავე ყოვლად უცოდველ გზებზე!
ბევრი ცოცხალიც არა მყავს გვერდით...
დავყოვნდით, მაგრამ მე თუ ისინი?
და აი მარტო ვდგავარ, მდუმარი
ამ უხმაურო, ცარიელ გზებზე.

ჩაიცვი ქურქი: გაზაფხულს შენსას
დრო გაუვიდა — მოდის ზამთარი.
ვითარცა კარი, დაგმანე ხსოვნა,
ნუ აღებ სარკმელს — მოდის ზამთარი.
სადა გაქვს ჟამი სულელთან დავის...
ამ შენს ჭირნახულს უშველე სწრაფად,
თორემ ყველაფერს დაფარავს თოვლი,
დაფარავს თოვლი — მოდის ზამთარი.

როგორც ნობათი, განძი მოგართვი,
ბევრი თუ ცოტა, თვითონ არ ვიცი.
რა უფრო ფასობს —მომღერლის ნიჭი
თუ ძე კაცისა? თვითონ არ ვიცი.
ხშირად, ო, ხშირად სიმღერის წილად
მე ხელს ვუწვდიდი ადამიანებს.
როგორ ვიცხოვრე — ცუდად თუ კარგად
ამ წუთისოფლად? რა ვთქვა, არ ვიცი.

თარგმანი სომხურიდან.



# მინიატიურები

ბენიკ სეირანიანი

## დედაჩემი

წელთა სიმრავლის მძიმე ტვირთით გვარიანად დამძიმებული დედაჩემი სხვა ქალაქში ცხოვრობს ჩემს უმცროს ძმასთან. ძველთაძველი ადათის კვალობაზე დედას ყველაზე პატარა შვილი უნდა ჰყავდეს გულთან ახლოს.

და ისიც ასე იქცევა, თუმცა არც ჩვენ, უფროსი შვილები, ვყავართ დავიწყებული.

ხანდახან, როდესაც სანახავად ჩავდივარ, მაშინვე აფუსფუსდება და ცეცხლზე შემოდგამს ქვაბით წყალს, რათა... მე გამბანოს, წარმოგიდგენიათ, ამხელა ვაჟკაცი.

შემდეგ გვერდით მომისვამს, თითქოს ბავშვი ვიყო, თავის დამჭკნარ თითებში მოიქცევს ჩემს ხელს და ალერსიანი ხმით მეკითხება:

— როგორა ხარ, შვილო, დედა გენაცვალოს?

— არა მიშავს რა, დედა.

ცოტა ხანს დუმს, ფიქრობს და მეკითხება:

— როდის ჩამოხვედი?

— დღეს ჩამოვედი, დედი! — ისე, გულის გარეთ დავძენ მე, რადგან წინასწარ ვიცი, კიდევ რამდენჯერმე დაუბრუნდება ამ კითხვას.

— მაშ, დღეს ჩამოსულხარ!..

ისევ ფიქრს ეძლევა და უცბად მეკითხება რატომღაც:

— როგორ არის დედაშენი?

— დედაჩემი?.. — წამით უხერხულად ვიშმუშნები, მაგრამ მალე გონს მოვდივარ, — დედაჩემს არა უშავს რა, კარგად არის. მთაში წასულა...

— ჰო, წავიდოდა, დათვის მთა კარგი აგარაკია. იქ ბალახზე მეტია ყვავილი.

ღიმილი უთამაშებს სახეზე, ბედნიერია, თითქოს თვალწინ დაუდგა ის გრილი მთები, გოგონას ასაკში რომ ჰქონდა შემოვლილი.

— მერედა, მამაჩემი რას იქმს?..—ახლა მამა ახსენდება, რა ხანია საქაოდან წასული და ალბათ უკვე მიწადქცეული ქვისმთლელი მიკო.

— მამაშენი ყაზახშია. ჰაჯი მურადს გომურს უშენებს...

— ღმერთმა ხელი მოუმართოს, — მხიარულად ამბობს იგი, — აუშენებს, აბა რაა!.. მთელი ყაზახი ოსტატ მიკოს აშენებულია...

დიდი ხანია დაკარგული აქვს მეხსიერება, მაგრამ გასაოცარი სიზუსტით ახსოვს ბავშვობის დღეები, ძველთაძველი ამბები, ისე ახსოვს, თითქოს ის დღეები ახლაც გრძელდებოდეს, ამ წუთას.

მე მექანიკურად ვპასუხობ კითხვებზე და ჩემთვის ვფიქრობ: „რას გაუგებ ამ წუთისოფელს! იქნებ ეგრე სჯობია, რომ არც მამის დაკარგვა ახსოვს, არც დედის, არც მეუღლისა და არც სხვა ახლობელ-ნათესავებისა. იქნებ ადამიანისათვის ბუნებისაგან დანათლულ უმაღლეს ჯილდოთაგან ერთ-ერთი სწორედ ყველაფრის დავიწყებაა, ყრუ, ღრმა და იდუმალი დავიწყება, რომ სიცოცხლის ბოლო წუთებში დამშვიდებული განერიდოს სააქაოს, ცოტაოდენი სევდა და ტკივილი წაიღოს ამ წუთისოფლიდან?! ვინ იცის, იქნებ მართლაც ასეა?!“

დედა კი ერთხელ კიდევ მეკითხება:

— შვილო, შენ არ გითქვამს, როდის ჩამოხვედი?...

## სათაური ბოლოში

ძველთაძველ სასაფლაოზე, სადაც უსწორმასწოროდ მიმოფანტულია საფლავის ქვები და ზოგიერთი თითქმის ნახევრად ჩამჯდარა მიწაში, ჩემი ყურადღება მარმარილოს შავმა ლოდმა მიიქცია. მასზე არც გვარი და სახელი ეწერა, არც დაბადება-გარდაცვალების თარიღები. მხოლოდ ორი სიტყვა...

იმ ორი სიტყვიდან მე ვერ გავიგე, ვინ მარხია მის ქვეშ, რომელი ეროვნებისა, ქალი თუ კაცი, ხნიერი თუ ახალგაზრდა, მოაზროვნე თუ უბრალოდ ვინმე ხელოსანი.

ისიც ვერ დავადგინე, განსვენებულის დანაბარებით წაუწერიათ ის ორი სიტყვა თუ რომელიმე ახლობელს შეუთხზავს.

მაგრამ, ვინც არ უნდა იყოს მისი ავტორი, რომელი ერისაც, ქალი თუ კაცი, ხნიერი თუ ახალგაზრდა, მოაზროვნე თუ ხელოსანი, — სულ ერთია, იმას უთუოდ პოეტის გული და ფილოსოფოსის სული ექნებოდა, რადგან წარწერაში გამოხატულია არა მარტო მარმარილოს შავი ლოდის ქვეშ მყოფის ბედისწერა, არამედ მილიონობითა და მილიარდობით წასულთა ხვედრი...

იმ ლოდზე ეწერა: „ზღაპარი დასრულდა“.

## სხვისი ტკივილით

მე იმას შევხვდი უკაცრიელ ქუჩაში. შემოდგომის დღე იყო, საღამო ხანი. ჩემი მეზობელია, მუსიკოსი. გულის მანკი სჭირს. მძიმე ნაბიჯებით მოდიოდა, სვენებ-სვენებით, მხრებჩამოყრილი და ფიქრიანი.

— საიდან მოდიხართ? —ვკითხე მე ისე, სხვათა შორის, რაღაც ხომ უნდა მეთქვა.

— ექიმთან ვიყავი, — მომიგო საბრალობელი ხმით.

— საით გაგიწევიათ? — ვეკითხები.

— ისევ ექიმისაკენ, — ამბობს იგი.

ქუჩის ბოლომდე ერთად მივაბიჯებთ, ორივენი ვდუმვართ. ქუჩის ბოლოს ის ჩერდება, ჩემკენ ბრუნდება, თვალებში ჩამცქერის და მეუბნება:

— როდესაც ჩემთან მოაქვთ მაღალ რეგისტრში დაწერილი ნოტები, ვთქვათ, ბეთჰოვენისა, ანდა ბახისა... მე იმათ ვეუბნები: „ეგენი საჩემო არ არის, სხვა მევიოლინეს წაუღეთ-მეთქი“. მავანი ექიმი კი იქამდე გაგვაწვალებს და დაგვტანჯავს, სანამ თავად არ დარწმუნდები, რომ იმას არაფერი გაეგება... და მერე თავად არ მიაკითხავ სხვა მკურნალს...

მართალს ამბობს, მე კი არ ვიცი, რითი ვანუგეშო და ისევ სხვათა შორის ვეუბნები:

— ალბათ, ცხოვრებისეული ამბავია.

ჩემს ნათქვამს მეზობელი სერიოზულად აღიქვამს, გაკვირვების ნიშნად თვალებს ახამხამებს და კიდევ უფრო საბრალობელი ხმით, თითქოს სული ყელში ებჯინებაო, ამბობს:

— მაგრამ მეც ხომ მინდა... ცხოვრება?

მე უნებურად მაფხიზლებს მისი სიტყვები და ვგრძნობ, რაოდენ უხერხულ ვითარებაში ვარ. ამ კაცს ტკივილი აწუხებს, გულის მანკი სჭირს, მას სიცოცხლე სწყურია, მე კი ისე, სხვათა შორის, თითქოს ვალს ვიხდიო, ვამშვიდებ.

დიახ, ძნელია სხვისი ტკივილით ცხოვრება!..

## განთიადის ვარსკვლავი

სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილებიდან დღეში რამდენჯერმე დაგირეკავ ხოლმე შენ და როდესაც ყურმილში წყნარად გაიხმიანებს შენი თბილი და მორცხვი ხმა, ასე მგონია, ლურჯი იები იფურჩქნება ჩემს ირგვლივ, თითქოს მათ სურნელებასაც ვგრძნობ და იმასაც ვხედავ, როგორ ივსება ქვეყნიერება ლურჯთვალა იებით.

შენი ხმის გაგონებაზე ისე ტკბილად ამიძგერდება ხოლმე გული, ისე ვივსები სიხარულით, როგორც მიამიტი ობლის გული — კაპიკიანი საჩუქრით.

და სიცოცხლეც საოცრად ტკბილი ხდება, ცხოვრება კი ისე საამური მგონია, ფრთები მესხმება, აგერ-აგერ მოვწყდები მიწას, წავალ, გავფრინდები იქით, საითაც გული მიხმობს...

ღმერთო ჩემო, რა ძლიერი, მაგიური ძალა აქვს შენს თბილსა და მორცხვ ხმას, რა კარგია, რომ ეგ ხმა ცოცხლობს, რომ შენ ხარ ამქვეყნად, ჩემო სანატრელო და განუმეორებელო...

მაშ, თუ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილიდან დღეში რამდენჯერმე დაგირეკო და მერე ხმის გაუღებლად, ნელა დავდო ყურმილი, ნუ გამიწყრები — ხომ არაფერს გთხოვ, როგორც არაფერს ვთხოვთ ალიონზე ამობრწყინებულ იმ შორეულ ვარსკვლავს, ყოველ დილით რომ ვუყურებთ ხოლმე, მასზე ვოცნებობთ, გვენატრება, ვსევდიანობთ, მაგრამ ის მაინც უცხოა და მიუწვდომელი ჩვენთვის...

ჰოდა, გამიგე და მომიტევე...

სომხურიდან თარგმნა
არჩილ დავითიანმა.



კიროვაკანი. ქალაქის ერთ-ერთი კუთხე.



## მარტინ ქარამიანი

საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის წევრს, ცნობილ სომეხ პოეტსა და მთარგმნელს **მარტინ ქარამიანს** დაბადების 70 წელი შეუსრულდა.

გულითადად ვულოცავთ ძვირფას მეგობარს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებთ ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

ვაქვეყნებთ პოეტის რამდენიმე ლექსს.

# ლექსები

### მ ო ვ დ ი ვ ა რ

მოვდივარ, თან მომყვებიან
ალვები ტანკენარები,
რა საამური ხმებია,
ჟღერენ მზის სხივთა ლარებიც.
მოვალ და გაიხარებენ
ქალები თვალმწყაზარები,
მაგრამ სულ სხვა შუქს გამოსცემს,
დედილო, შენი თვალები.

მოვდივარ, წინ მომიძღვიან
ოცნების ჭრელი ფრთოსნები,
სადღაც სიყვარულს უმღერენ
ბულბულნი — ნაზი მგოსნები.
მოვალ და მკერდში ჩამიკრავს,
დედილო, შენი ხელები,
შენით არასდროს ჩამიქრა
იმედის ცისარტყელები.

გულმა თუ გიგრძნო — ჭიშკართან
დგახარ, სულ მოუფონია,
და ფეთქვა შენი გულისა
ჩემი ფეხისხმა გგონია.
ჩემს ნაბიჯს ზომავ სივრცეში,
გულზე გზის ქარი გეხლება
და შენს თვალებში ჩემს თვალთა
შუქსხივი აირეკლება.

ჩაფიქრებული, დაღლილი
სველი წყაროთა ჭავლით,
ჩემი ბავშვობის გზა-ბილიკს
მივდევ, ვით უცხო მგზავრი.

ტყით მოსილ ბორცვებს გავშორდი,
გავცდი ყანიან ველსაც,
ვეძებ დაკარგულ ბავშვობას
და ვერ ვპოულობ ვერსად.

მზე კი კვლავ სხივთა ვარვარით
დადის კარიდან კარად...
ბავშვის ნაბიჯით ლაღვარის
მთიდან ვეშვები ბარად.

### ი ლ უ ზ ი ა

ბავშვად ვიქეცი მე ისევ
თითქოს ორიოდ წამით —
ბილიკს მივყვები სერი-სერ,
მესმის ჩანჩქერის ჩქამი.

* * *

**უცაბედად შემომიღო ქარმა კარი,**
**შემომიგდო ქარვისფერი ფოთოლი,**
**გულზე ნაზად მივიკარი —**
**კონვერტს ჰგავდა, ნაზი ფერით მოთოვილს.**
**გავხსენი და ნავიკითხე გულის ძგერით**
**(მაგიდასთან ველარ შევძელ ჯდომა):**
**„მე მოვდივარ. გწერ ამ წერილს**
**შენი შემოდგომა".**
**რაღაც ხმები შემომესმა ეზოდან,**
**თითქოს ვიღაც საცოდავად კვნესოდა.**
**გავიხედე — შემოდგომა ტიროდა,**
**სველს გაშრობა და გათბობა სჭიროდა.**
**შემეცოდა და გავუღე კარები,**
**შეციებულს, ულვთოდ აკანკალებულს.**
**ახლა ბუხარს მივსხდომივართ ნუვილადა,**
**ვიცინით და ვმუსაიფობთ ტკბილადა.**

თარგმნა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა.

# ფაზისური ესკიზები

გრიგოლ რუხაია,
ბალათერ არაბული,
„დროშის" სპეციალური კორესპონდენტები

1

ორი დღეა, რაც გამოიდარა და კოლხური მზე უმოწყალოდ აცხუნებს. აყვავებულ ხეებზე მირიადი თეთრი პეპელა შეფრენილა. მწვანე კაბები ჩაუცვამთ მდელოებს, კორდებს, დამბებს.

გასულა ყანაში მიწათმოქმედი, ჩაუვლია ხელები გუთნის ტარისთვის და, ბუსქასა და ჩელას კვალში ჩამდგარი, იმედიანი ღიღინით ავლებს პირველ ხნულს...

ადრიანი დილაა. „საქართველოს საზღვაო ჭიშკრის" ქუჩებშიც გამოცოცხლებაა. ონავარ სიოს ზღვის ძალუმი სუნთქვა მოაქვს ქალაქში. შორეულ რეისზე წამსვლელი ხომალდის სირენის ხმა დილის სალამივით ეგებება შინიდან გამოსულ წითელყელსახვევიან პიონერებსა თუ ფაბრიკა-ქარხნებისკენ აჩქარებით მიმავალ მუშა-მოსამსახურეებს.

ამაყად მიაბიჯებს ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ-საშენებელი ქარხნისაკენ ახალგაზრდა გემთამწყობი, საკავშირო კომკავშირის XIX ყრილობისა და საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის დელეგატი ზურაბ ზარანდია, აგონდება ჭაბუკს ყრილობებზე მოსმენილი საქმიანი, შთამბეჭდავი სიტყვები, ანთებული სახეები. მგზნებარე სიზმარივით გაიარა ყრილობების დღეებმა, ჭაბუკის სული თითქოს უფრო მტკიცე, მიზანსწრაფული გახდა, მკლავებს — ღონე, თვალებს — შუქი, ნაბიჯს სიმტკიცე მოემატა...

აგერ მშობლიური ქარხანა, ნაცნობი სახეები, ამხანაგები, დამრიგებლები. ზურაბი საამქროსაკენ გაემართა. „ალბათ ისევ მომასწრო",—გაიფიქრა ჭაბუკმა და მართლაც მაშინვე თვალი ჰკიდა ბრიგადირ ეგორ სეკაჩოვს, თავის ოსტატს, რომელმაც გემთამწყობის ურთულეს პროფესიას აზიარა ყმაწვილი ამ ექვსიოდე წლის წინათ.

— მუყაითი ბიჭია, — გვეუბნება ეგორ სეკაჩოვი, — დაუზარელი, ცოცხალი. სახალისოა ასეთ ახალგაზრდასთან მუშაობა. იგი ახლა ხმის მახშობელ მილების გამოჩარხვაზე მუშაობს.

ეგორ სეკაჩოვი, დონელი კაზაკი, წარმოშობით ლიპეცკის ოლქის სოფელ ბუდოვადანაა. 1951 წელს იგი არმიაში გაიწვიეს და სამხედრო-სავალდებულო სამსახურს ფოთში იხდიდა. მალე მას აქაური ქალიშვილი შეუყვარდა და ფოთში დარჩა საცხოვრებლად. ორიოდე თვის შემდეგ პენსიაში გააცილებენ ღვაწლმოსილ მუშაკაცს.

— ბრიგადირობას ზურას გადავულოცავ, ის ღირსეული მემკვიდრე იქნება ჩემი, — ამბობს ეგორი და მზრუნველი მზერით აკვირდება თავისი შეგირდის საქმიანობას.

ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ზურაბ ზარანდიამ შრომითი საქმიანობა ჰიდრომექანიზმების ქარხანაში დაიწყო. ეს იყო მუშურ ცხოვრებასთან პირველი შეხვედრა. ჰქონდა გულაცრუების, შეუგუებლობის დღეები, მაგრამ მას ყოველთვის დროზე უწვდიდნენ დახმარების ხელს უფროსი მეგობრები. მალე სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. ზურაბის მშობლებმა რამდენიმე მადლობის წერილი მიიღეს კომკავშირელი ახალგაზრდის შრომითი და სასწავლო წარმატებების შესახებ.

— ჯარიდან ჩამოსვლის მერე სულ აქა ვარ,—ამბობს ზურაბი,—1979 წელს პარტიის რიგებში მიმიღეს. ამ ბიჭებთან ერთად (ზურაბი სათითაოდ გვაცნობს ბადრი შეყლაშვილს, ვლადიმერ ზაბოლოცკის, ანატოლ კაცუბას...) ვაშენებ სახელგანთქმულ „კომეტას". შემოდგომაზე ცოლი მომყავს და კომკავშირულ ქორწილს გადამიხდიან კულტურის სახლში. გეპატიჟებით, — გვიღიმის ზურაბი. მადლობას ვუხდით მოწინავე გემთამწყობ ზურაბ ზარანდიას, ვემშვიდობებით მას, მის მეგობრებს. მივიჩქარით ადმინისტრაციული კორპუსისაკენ, სადაც ქარხნის დირექტორი ზაურ არჩაიძე გველოდება.

2

მრისხანე 1941 წელს, სევასტოპოლიდან ევაკუირებული საზღვაო ქარხნის ბაზაზე შეიქმნა სერგო ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი ქარხანა, რომლის საამქროები ქალაქის სხვადასხვა უბანში იყო განლაგებული. ეს ქარხანა არემონტებდა წითელდროშოვანი შავი ზღვის ფლოტის დაზიანებულ საბრძოლო გემებს. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ქარხანა თევზსარეწი ფლოტის ხომალდების შეკეთებას ემსახურებოდა.

სამოციანი წლების დასაწყისში ქარხნის კოლექტივმა ახალი ტიპის წყალქვეშაფრთიანი თბომავლების მშენებლობა დაიწყო. ძნელი იყო გამარჯვებისაკენ მიმავალი გზა. თავი იჩინა სიძნელეებმა ალუმინის, ახალი მასალებისა და უჟანგავი ფოლადის ცალკეული დეტალების დამუშავება-შედუღების საქმეში, მაგრამ ფოთელებს სიტყვა არ გაუტეხიათ.

მალე ფოთში ახლად აშენებულმა თბომავალმა „კომეტამ" გეზი ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვისაკენ აიღო. თბომავალმა, რომელსაც მშენებლებმა „საქართველო" შეარქვეს, სახელოვანი გამარჯვება უპატაკა სკკპ XXII ყრილობას. ფოთელ გემთმშენებელთა პირმშომ მწვანე გზა გაუხსნა „კომეტის" ტიპის სხვა თბომავლებს, რომელთაც დიდი პოპულარობა მოიპოვეს საშინაო და საგარეო ბაზარზე მაღალი სამიმოსვლო თვისებებით, სიჩქარით, კომფორტაბელურობით... ფოთში დამზადებული „კომეტები" დღეს ამაყად სერავენ მაროკოს, იუგოსლავიის, საფრანგეთის, ბულგარეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, პოლონეთის, იტალიის, რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბერძნეთისა თუ თურქეთის ტერიტორიულ წყალთა სივრცეებს.

ნიშანდობლივია ინგლისელი ზღვაოსნისა და მეცნიერის [illegible] სიტყვები: „ბოლო ოცი წლის მანძილზე წყალქვეშა ფრთიანმა სწრაფმავალმა ხომალდებმა 20 მილიონზე მეტი მგზავრი გადაიყვანეს. აქედან 80 პროცენტზე მეტი საბჭოურ გემებზე მოდის. ამათგან ყველაზე უფრო „კომეტამ" გაგვიმართლა".

ქარხნის გამოცდილმა კოლექტივმა კარგად იცოდა, რომ მისი მუშაობის მაღალი შეფასება მიღწეულით დაკმაყოფილების უფლებას არ იძლეოდა. საჭირო იყო ძიება, ახალ თბომავალთა სიმძლავრის, სისწრაფის, კომფორტის, მგზავრთა ტევადობის გაზრდა. დამპროექტებელთა და გემთმშენებელთა ჩანაფიქრით ახალი ლაინერი „კოლხიდა" განსაკუთრებით კომფორტაბელური უნდა ყოფილიყო, უნდა ჰქონოდა დიდი და ნათელი სარკმლები, კონდიცირებული ჰაერი...

ქარხნის კოლექტივი, ტრადიციისამებრ, ახალი თაოსნობით გამოვიდა — გადაწყვიტა უმოკლეს ვადაში, გეგმით გათვალისწინებულზე ორი წლით ადრე, აეგო ახალი ტიპის თბომავალი „კოლხიდა" და იგი საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ XXVI ყრილობისათვის მიეძღვნა.

დაიწყო ბრძოლა. მძიმე და რთული იყო ეს ბრძოლა. ქარხნის საამქროებში მკლავმოუღლელად შრომობდნენ, უსწრებდნენ გრაფიკს, ავლენდნენ გასაოცარ ოსტატობას, გამოცდილებას, ენთუზიაზმს, მიზანსწრაფულობას.

არაერთმა მუშამ ისახელა თავი. მათ შორის მრანდავმა, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატმა ბორის ყუფარაძემ, პირველმა ქართველმა გემთმშენებელმა ქალმა, საკავშირო ალკკ XVI ყრილობის დელეგატმა, ელექტროშემდუღებელმა სვეტლანა კიზირიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ალექსი შალიანმა, ახალგაზრდა მღარავს ჯემალ კუციას წილად ხვდა ახალი ხომალდის პირველი დეტალის გამოჩარხვა. გემთამწყობი ზურაბ ზარანდია თავდადებული შრომისთვის საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. მღარავმა ანატოლი კაცუბამ ბევრჯერ გაიმარჯვა რესპუბლიკურ კონკურსში — „პროფესიაში საუკეთესო"... აი, ასეთი ხალხის თავდადებული შრომით აშენდა „კოლხიდა".

ქარხანაში 600-მდე კომკავშირელია. შექმნილია 9 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა. ცხრავე ბრიგადამ ვადამდე შეასრულა მეათე ხუთწლედის გეგმა. ამათგან ოთხი ბრიგადა მონაწილეობდა „კოლხიდის" აგებაში.

ქარხნის კომკავშირის კომიტეტისა და ახალგაზრდა სპეციალისტთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე გადაწყდა, შეფობა გაეწიათ თბომავალ „კოლხიდისთვის". გაფორმდა ხელშეკრულება „კოლხიდის" დამპროექტებელ ქ. გორკის წყალქვეშაფრთიანი ხომალდების ცენტრალურ საკონსტრუქტორო ბიუროსა და ქარხნის კომკავშირულ ორგანიზაციას შორის.

ახალგაზრდა სპეციალისტთა საბჭოსთან ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიურო „კო-



[კო]ლხიდის“ მშენებელი საამქროებისათვის დახმარების გასაწევად. არ იყო არც ერთი უბანი, სადაც ახალგაზრდა სპეციალისტებს გადამწყვეტი სიტყვა არ ეთქვათ.

უნდა აღინიშნოს ტ. აბურჯანიას, რ. ლორჭოშვილის, გ. გოჩალეიშვილის, ვ. პივენის, ა. სეფიაშვილის, ლ. ლემონჯავას, ვ. დემიანოვის თავდადებული შრომა.

ქარხანაში არსებობდა ე. წ. „კომკავშირული კვანძები“, რომელთა მუშაობის კონტროლი ქარხნის ადმინისტრაციამ კომკავშირულ შტაბს დაავალა. კომკავშირლებმა ნდობა გაამართლეს და დავალებანი ვადაზე ადრე, ხარისხიანად შეასრულეს.

1981 წლის 19 იანვარს წყალში ჩაუშვეს ფოთური „კოლხიდა“, ხოლო 22 იანვარს თბილისში გაიხსნა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა. გემთმშენებლებმა ყრილობას დეპეშით აცნობეს თავიანთი შრომითი წარმატება.

21 თებერვალს „კოლხიდამ“ პირველი რეისი განახორციელა შავ ზღვაზე. პირველ საპატიო მგზავრთა შორის იყვნენ თბომავლის მშენებლები, ინჟინერ-ტექნიკოსები, დამპროექტებლები. ორი დღის შემდეგ — 23 თებერვალს გაიხსნა სკკპ XXVI ყრილობა და გემთმშენებლებმა თავიანთი პირველი რეისი კომუნისტთა ამ ისტორიულ ფორუმს მიუძღვნეს.

სხვათა შორის „კომეტას“ პირველი კაპიტანი იყო გამოცდილი მეზღვაური გიორგი კინტირაია, რომელიც ამჟამად სოჭში მუშაობს.

XI ხუთწლედში ჩვეული თავდადებით შრომობენ გემთმშენებლები. „კოლხიდასთან“ ერთად ისინი მალე აითვისებენ ახალ სწრაფმავალ წყალქვეშაფრთიან თბომავალს, რომელსაც პირობითად „ალბატროსი“ შეარქვეს. მიმდინარე ხუთწლედის ბოლოს დაგეგმილია გამოუშვან [პატრი]ოთურ თბომავალთა მეოთხე თაობის პირ[ვე]ლი.

მთავრდება ქარხნის ტექნიკური განახ[ლ]ების სამუშაოები. ეს საშუალებას მის[ც]ემს ქარხანას, უკეთ გამოიყენოს საწარმოო რეზერვები, გააუმჯობესოს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, გაზარდოს გემთმშენებელთა საექსპორტო პროდუქციის მოცულობა.

3

— „კომეტა“ გაინტერესებთ, არა? — გვეკითხება ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის დირექტორი ზაურ არჩაიძე, მერე თბომავლის მაკეტისკენ იმზირება და ამაყად ამბობს, — ჩვენი გემები ამჟამად სერავენ ადრიატიკისა და ხმელთაშუა, ეგეოსისა და შავი ზღვის ცისფერ ბილიკებს.

— „კომეტის“ აღიარების დამადასტურებელი ყველაზე დიდი ფაქტი ისაა, — განაგრძობს ქარხნის დირექტორი, — რომ ინგლისმა, გემთმშენებლობის უძველესმა და უდიდესმა სახელმწიფომ, ჩვენგან შეისყიდა „კომეტა“.

პირველად გემი ჩვენგან შეისყიდა იტალიურმა ფირმამ „აქილე ონორატომ“, მალე ათი „კომეტა“ ბერძნებმა შეისყიდეს, თურქული ფირმა „ერქალის“ პრეზიდენტმა ერთან ბალინში კი ხუთი გემი შეიძინა.

— 1980 წლის ოქტომბერში, წარმოების განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის დაწესებული საერთაშორისო პრემია „ოქროს მერკური“ ამ საერთაშორისო კომიტეტის გენერალურმა მდივანმა დოქტორმა ლორენცო გალიმ პირადად გადასცა პატივცემულ ზაურ არჩაიძეს საზეიმო ცერემონიალზე მოსკოვში, — გვეუბნება ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი იოსებ გვაძაბია, — გარდა ამისა, ჩვენმა „კომეტამ“ 1979 წლის გამოფენაზე ზაგრებში (იუგოსლავია), დიდი ოქროს მედალი მიიღო. რაც შეეხება „კოლხიდას“, ამა წლის მარტში ლაიფციგის საერთაშორისო გამოფენაბაზრობაზე მან საპატიო დიპლომი დაიმსახურა.

ფოთელმა გემთმშენებლებმა შექმნეს თევზსაჭერი კატარღა „თოლია“. ცნობილია თევზჭერის ორნაირი ხერხი: პირველი — ფსკერზემოთა, როცა ბადე ღრმად ეშვება ფსკერისკენ, და მეორე, — როცა ბადე წყლის ზედაპირიდან რამდენიმე მეტრზეა ჩაშვებული. „თოლიას“ გამოიყენებენ ფსკერთან ახლო მყოფ თევზის საჭერად.

ხუთწლედის ბოლოსათვის გათვალისწინებულია რამდენიმე ამგვარი კატარღის აშენება.

— ქარხანას სიძნელეებიც აქვს. ეს არის მასალების არარიტმული მოწოდება, არგონის გაზის სიმცირე, რომელსაც ბალონებით ვიღებთ. ასევე მოუგვარებელია კადრების საკითხი. გემთშემკეთებლები მძიმე და ჭუჭყიან სამუშაოებს ასრულებენ. აუცილებელია მათი მატერიალურ და მორალურ წახალისებათა ახალი ფორმების ცხოვრებაში გატარება. ერთი სიტყვით, პრობლემები სერიოზულია და მთელი ჩვენი გულისყური მათი დაძლევისკენაა მიმართული, — გვეუბნება ქარხნის დირექტორი ზაურ არჩაიძე.

4

ფოთს მუშათა ქალაქს უწოდებენ. სასიხარულოა ის ძვრები, რაც იგრძნობა უკანასკნელ წლებში ქალაქის აღმშენებლობის დარგში. მწყობრში ჩადგა ბევრი სამოქალაქო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი, სასიკეთოდ რომ უცვალეს სახე ფოთს. ბევრი ობიექტი ჯერ კიდევ ხარაჩოებშია.

საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის წინა დღეებში, სარეწაო თევზჭერის სამმართველოს ტრაულერ „კოლხეთის“ ეკიპაჟის გაცილებისას, კაპიტნის თანაშემწემ, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის წევრმა თენგიზ ბახბავამ თქვა: „გვეამაყება ჩვენი თანატოლების საგმირო საქმეები მთებსა და მინდვრებში. მათი გმირობის ამბავი მთელმა ქვეყანამ იცის, მაგრამ ჩვენ, ქართველ მებადურებს გულსა გვტკენს, რომ მშობლიურ ლიტერატურასა და ხელოვნებაში ზღვის სუნთქვა ჯერ კიდევ მკვეთრად არ იგრძნობა. თუ კაცს მეზღვაურის ცხოვრებით ერთი დღე მაინც უცხოვრია, დაგვემოწმება, მებადურეებს მეტად რთულ პირობებში — ზღვებისა და ოკეანეების ბობოქარ ტალღებთან ჭიდილში გვიხდება ცხოვრება და საქმიანობა. კარგი იქნება, რომ ამის შესახებაც წერონ.“

პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის მონდომებითა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, დადებითად გადაწყდა ამ საზღვაო ქალაქში თევზის მრეწველობის ინსტიტუტის ფაკულტეტის გახსნის საკითხი. ეს ხელს შეუწყობს ქართველი კაპიტნებისა და თევზის მრეწველობის სხვა სპეციალისტების, გემთმშენებლებისა და გემთშემკეთებლების მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეს, რის ნაკლებობასაც საგრძნობლად განიცდის დღეს ფოთი და, საერთოდ, რესპუბლიკა.

ფოთში ყოფნის პერიოდში არაერთი სასიხარულო ცნობა მოვიდა ოკეანიდან. ტრაულერმა „ახმეტამ“ 7 იანვრიდან დღემდე 4650 ტონა თევზი დაიჭირა, გეგმით გათვალისწინებული 2745 ტონის ნაცვლად, ხოლო „ბათუმმა“ — 3255 ტონა თევზი, ნაცვლად 2340 ტონისა... ფოთელი მებადურების წლიური გეგმა 62000 ტონაა. აქედან, სასურსათო მეურნეობისათვის ვარგისი იქნება 52000 ტონა. ეს კი სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მტკიცე ნაბიჯია.

5

ამჟამად არსებული სამეურნეო მექანიზმის მოძველება იწვევს საწარმოო ჩამორჩენას, გეგმების შეუსრულებლობას, ტექნიკური პროგრესისათვის ხელის შეშლას. ფერხდება სიახლე-გამოგონებათა გეგმაზომიერი დანერგვა ფაბრიკა-ქარხნებში, ახალი მექანიზმების ათვისება.

ამ და სხვა პრობლემათა დაძლევის გზებზე, ახალ, საინტერესო წინადადებებზე, მეცნიერულად დასაბუთებულ ექსპერიმენტებზე ფიქრობენ, მსჯელობენ, კამათობენ, ხშირად ღამეებსაც ტეხენ პარტიის საქალაქო კომიტეტში, რომელსაც ნიჭიერი და ენერგიული პარტიული მუშაკი ბაკურ გულუა მეთაურობს. ქალაქკომის თეთრი შენობის ფანჯრებიდან გვიან ღამითაც სინათლის ოქროსფერი შუქი იღვრება. ეს სინათლე ძლიერ ჰგავს იმ შუქურას, რომლისკენაც მალე აიღებენ გეზს ხვალინდელ სასახელო წარმატებათა მძლავრი ხომალდები.

## გეორგიევსკის ტრაქტატი 200

### ნიკოლოზ ბარათაშვილი

# საფლავი მეფის ირაკლისა

მოვიდრეკ მუხლთა შენს საფლავს წინ, გმირო მხცოვანო,
და ცრემლთ დავანთხევ შენს სახელზე, მეფევ ხმოვანო!
ახ, რად არ ძალუძს განცოცხლება წმიდას აჩრდილსა,
რომ გარდმოხედო ახალს ქართლსა, შენს პირმშო შვილსა!

თაყვანს ვსცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწარად თქმულს!
გახსოვს, სიკვდილის ჟამს რომ უთხარ ქართლს დაობლებულს?
აჰა აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი,
და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენი:

ჟამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო;
მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული
უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული,

და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!
სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი!

აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა,
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი ალტყველვა;
შავის ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა,
აწ მოგვიგვრიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა!

მშვიდობა შენსა წმიდას აჩრდილს, გმირო განთქმულო,
უკანასკნელო ივერიის სიმტკიცის სულო!
აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძნამაგსა,
და თაყვანსა სცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგსა!

1842

# ახალი წიგნი

## ძმობისა და მეგობრობის პირველ მანიფესტს ეძღვნება

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა მწერალ ლადო ალფენიძის მხატვრულ-დოკუმენტური ქრონიკების „სიყვარულისა და უკვდავების“ მეორე წიგნი „მწვერვალები და უფსკრულები“. პირველ წიგნს „დუელი მგლის ველზე“ უკვე იცნობს მკითხველი.

„სიყვარული და უკვდავება“ მოგვითხრობს ნინო ჭავჭავაძისა და ალექსანდრე გრიბოედოვის სიცოცხლესა და სიყვარულზე.

ქრონიკების სამივე წიგნი („დუელი მგლის ველზე“, „მწვერვალები და უფსკრულები“, „სიკვდილი ქრისტეს ასაკში“) ეძღვნება ხალხთა მეგობრობის დიდ ზეიმს, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს, რომელიც 1983 წელს აღინიშნება.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ო. თაქთაქიშვილი, ს. ცინცაძე და ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის კონსერვატორიის რექტორი, პროფ. ბ. კულიკოვი.

# ძიება და გამარჯვება



ს. ცინცაძე თბილისის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებთან.



ს. ცინცაძე — დირიჟორთა მესამე საკავშირო კონკურსის ჟიურის წევრი.

## მზია იაშვილი

გამოჩენილ საბჭოთა კომპოზიტორს — რესპუბლიკის სახალხო არტისტს, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის, რუსთაველისა და ფალიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატს — სულხან ცინცაძეს ფართო სარბიელი გაეხსნა იმ დროს, როცა 22 წლის ჭაბუკი იყო. პირველი კვარტეტით მან თამამად შემოაბიჯა ქართულ მუსიკაში და თავისი ძალუმად მჟღერი ხმა შეუერთა ქართველ კომპოზიტორთა მძლავრად ხმოვან მწყობრს.

მაშინ, 1947 წელს, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის კონკურსზე პრემიით რომ აღინიშნა ახალგაზრდა შემოქმედის ეს არსებითად პირველი ნაწარმოები, ცხადია, ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რაოდენ დინამიკური და შორსმიმავალი აღმოჩნდებოდა სულხან ცინცაძის შემოქმედებითი ზრდის გზა, ხალასი ნიჭით გაკვალული და პროფესიული ოსტატობის სრულყოფისაკენ დაუოკებელი სწრაფვით აღძრული...

დღევანდელი სიმაღლიდან ნათლად ჩანს, რაოდენი შრომა, რა დიდი ყოველდღიური პროფესიული წვრთნა და „გრძნობადი გონების" რა ძალით მობილიზება იყო საჭირო იმ შედეგიანობისათვის, რასაც ასე უხვად იმკის ეს შესანიშნავი ხელოვანი, თავისი მაღალმხატვრული ქმნილებებით საგრძნობლად რომ გააფართოვა ქართული მუსიკის ჟანრობრივი ჩარჩოებიც და სტილისტური მხრივ ბევრი რამ თვისებრივად ახალიც შემოიტანა.

ახლა ყველასათვის ცხადია, რომ ქართულ მუსიკაში 60-იანი წლების ძირეული ძვრები, რომლებიც თანამედროვე მუსიკალური ტექნიციზმის ხერხების, უფრო ფართოდ კი, თანამედროვე მუსიკალური ლექსიკის ელემენტთა ათვისებისა და ამ უკანასკნელთა ეროვნული კილო-ჰარმონიული აზროვნების კანონზომიერებებთან შეწონასწორების ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა, თავის ერთ-ერთ ორიენტირად ცინცაძისეულ ძიებებსაც გულისხმობდა, ესოდენ ორგანულს და წარმატებით დაგვირგვინებულს. ეს უკანასკნელნი ნათლად მიგვანიშნებენ, რაოდენ სახეცვლილია ცინცაძე — შემოქმედი 70-80-იან წლებში.

განვლილია დიდი გზა. კომპოზიტორის შემოქმედების პირველ შედევრებს — ლირიკო-ჟანრულ ასპექტში გარდატეხილ II კვარტეტსა და საკვარტეტო მინიატურებს („ლალე", „ინდი-მინდი", „საჭიდაო"), 1950 წელს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიით რომ აღინიშნა, ესოდენ განსხვავებს მისივე VI კვარტეტისა (1967 წ. ფალიაშვილის პრემია) და VIII კვარტეტისაგან (1978 წ. რუსთაველის პრემია), ტრაგიკულის წვდომის ჭეშმარიტი ძალით რომ გამოირჩევიან და ახალექსპრესიულ, ახალემოციურ მანერაში არიან წარმოთქმულნი. ორი უკანასკნელი ხომ ფორმის აგების ახლებურ ხერხებს გულისხმობს, რაც საოცრად ესადაგება სულხან ცინცაძის აზროვნებას. მივუთითებთ მეორე არანაკლებ მკაფიოდ გამოხატულ ნიშან-თვისებაზეც, — წერის პოლიფონიური ტექნიკის ვირტუოზულ ფლობაზე, რაც ასე მკაფიოდ წარმოჩნდა ს. ცინცაძის შემოქმედებითი სახის არამარტო განმსაზღვრელ ჟანრში — კვარტეტის ჟანრში, არამედ ყველა სხვა ჟანრშიც, რომლისთვისაც კი მიუმართავს კომპოზიტორს. ყურადღება კი მრავალზე გადაუტანია, დაწყებული მუსიკალური თეატრით (ოპერები — „ოქროს ვერძი" და „განდეგილი"; ოპერეტები — „აბლაბუდა" და „სიმღერა ტყეში", ბალეტები — „ცისფერი მთის საუნჯე", „დემონი" და „პოემა") და სიმფონიით (ს. ცინცაძე ავტორია სამი სიმფონიისა), დამთავრებული კინომუსიკით („ჭრიჭინა". „აბეზარა", „ბაში-აჩუკი", „ოთარაანთ ქვრივი", „თოჯინები იცინიან", „მაია წყნეთელი", „განძი", „ჯარისკაცის მამა") და ინსტრუმენტული კონცერტით (კონცერტები ჩელოსა, ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის), ორატორიითა („უკვდავება", მიძღვნილი დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი) და თვით საბავშვო მუსიკის სფეროთი.

აქ, ცხადია, შეუძლებელია კომპოზიტორის შემოქმედებითი გზის ყველა მნიშვნელოვანი თუ რიგითი მოვლენის აღნუსხვა, ვინაიდან ჭეშმარიტი ოსტატის გზაზე ერთიც ბევრია და არც მეორეა გამორიცხული. ერთს კი ვიტყვით: ს. ცინცაძის მარტო ზემომოყვანილ ნაწარმოებებზე მინიშნებაც კი კმარა იმის ნათელსაყოფად, თუ რარიგ დიდია კომპოზიტორის შემოქმედების საზოგადოებრივი რეზონანსი და რა დიდია ის წვლილი, რაც მან ქართული მუსიკის განვითარებაში შეიტანა.

მეხსიერებაში ჯერ არ წაშლილა ის ძლიერი შთაბეჭდილება, ს. ცინცაძის „24 პრელუდიამ" რომ დატოვა და სულ მოკლე ხანში კომპოზიტორის ახალი დიდი ქმნილების — ბალეტ „ფელიჩე რივარესის" პრემიერაც შედგება. ტრაგედიულ ასპექტში გახსნილი ეს მასშტაბური პარტიტურა ს. ცინცაძემ მოსკოვის კ. სტანისლავსკისა და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის თეატრის დაკვეთით შექმნა ე. ვოინიჩის რომან „კრაზანას" მიხედვით.

ასე გაგრძელდა შემოქმედებითი თანამშრომლობა იმ დასთან, რომელმაც 60-იანი წლების დასაწყისში მისი II სიმფონიის საფუძველზე სამამულო ომის დღეთა ამსახველი ბალეტი — თავისებური პროგრამული ქორეოგრაფიული პოემა შექმნა.

18 წელია, რაც პროფესორი ს. ცინცაძე ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც კარგად ცნობილ უმაღლეს სასწავლებელს — თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას უდგას სათავეში. ვინ მოსთვლის ამ ხნის განმავლობაში თბილისის კონსერვატორიის აღზრდილ რამდენ ახალბედა მუსიკოსს გაუკაფავს გზა ფართო შემოქმედებითი ასპარეზისაკენ, მიუღწევია დასახული მიზნისთვის და შემოქმედებითი გამარჯვების სიხარულით გულმოცემულს ახალი მწვერვალებისათვის გაუსწორებია მზერა. ცხადია, ყველა მათგანის მობავალში თვით კონსერვატორიის რექტორისა და მთელი შემოქმედებითი კოლექტივის, ამდენ სახელგანთქმულ მუსიკოსს რომ აერთიანებს, კეთილი ნაღვაწის შუქიც გამოკრთის. კარგად თქვა პროფესორმა სულხან ცინცაძემ: „კონსერვატორია უაღრესად რთული შემოქმედებითი დაწესებულებაა. იგი ახალგაზრდობისადმი უაღრესად თავისებურ მიდგომას ითხოვს. ვცდილობ, შემოქმედებითი ატმოსფერო შევქმნა მათთან ურთიერთობაში, ვგრძნობ, რომ მათ სჯერათ ჩემი"...


ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, სჯერათ, ვინაიდან კარგად ხედავენ რამდენ დროსა და ენერგიას ახმარს სახელგანთქმული კომპოზიტორი მაღალნიჭიერ მუსიკოსთა ახალი ცვლის აღზრდას, ქართული მუსიკალური ხელოვნების ხვალინდელი დღის შექმნას. მრავალი წლის ნაღვაწის შესახებ რომ არაფერი ვთქვათ, თბილისის კონსერვატორიის შემოქმედებით ცხოვრებაში მხოლოდ წელს — საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავზე მომხდარ მნიშვნელოვან ფაქტებზე მითითებაც კი კმარა. წელს ხომ თბილისის კონსერვატორიამ თავისი შემოქმედებითი სახე მრავალწახნაგოვნად წარმოაჩინა ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქში, სადაც მოსკოვის პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიაში დიდი წარმატებით ჩაიარა თბილისის კონსერვატორიის დღეებმა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ჩვენი სტუდენტობის ნიჭიერებისა და მზარდი პროფესიული ოსტატობის შესანიშნავი ჩვენება. იგივე გამეორდა ბაქოსა და ერევანშიც, სადაც ჩვენი კონსერვატორიის სტუდენტმა-შემსრულებლებმა და საკომპოზიტორო განყოფილების სტუდენტობამ კვლავ დიდად ასახელა თავისი აღმზრდელი კერა. მხედველობაში გვაქვს კამერულ ანსამბლთა ბაქოს პირველი ფესტივალი, რომელშიც თბილისის კონსერვატორიის მიერ წარგზავნილი 9 ანსამბლიდან 8 ფესტივალის ლაურეატი გახდა. დიდი წარმატება ხვდა წილად ერევანში ჩატარებულ გასვლით კონცერტსაც.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად მეტყველებს იმ ინტენსიურ შემოქმედებით ატმოსფეროზე, რომლის შექმნასაც ს. ცინცაძე დიდ სულიერ ძალას ახმარს, რამეთუ მან, საერთაშორისო სარბიელზე აღიარებულმა შემოქმედმა და საზოგადო მოღვაწემ, კარგად იცის, რა დიდი ძალის შემცველია ის პირველსაწყისი შემოქმედებითი ბიძგი, რომელმაც ფართო ასპარეზისაკენ უნდა გაუკაფოს გზა ახალბედა მუსიკოსებს.

## ტერეზა ჯოჯუა

### ოდა მუსიკას

1

ვიდრე ჩემთან ხარ. შენი სინათლე
ვიდრე ჩემს სულში სიხარულს ბადებს,
მე კვლავ ნისლებთან ბრძოლა მწყურია
და შენს სახელზე ლოცულობს ბაგე...
ვიდრე მივყვები შენს ხმას შემკრთალი
და გაბრუებულ ეჭვებს მინათებ,
ყველგან, ეჭვებშიც, სუფევს სიმართლე
და ნისლებიდან ჩანან მნვერვალნი...
შენთან შერწყმული წამი ყოველი,
ივსება აზრით და სილამაზით
და წუთისყოფას წუთისოფლისა
ვერ დამაჯერებს ეშმაც ვერასგზით.
და შენ, მშვენიერს, ბრძენს და უნაზესს,
ჩემი ეჭვების ნამეწყრალს განდობ...
მართალი სიტყვა... განა ეს ძალუძს,
შენი ქარბუქი აღბეჭდოს ძალუმ?!
სიტყვა ლალადებს, ლოცულობს, ბრძანებს,
შენ კი მის ლოცვას სიცოცხლედ აქცევ...
და უსინათლო ხედავს სივრცეებს,
ღალატით დაღლილ სიყვარულს უყვარს,
სინათლე კვლავაც სდევნის სიბნელეს
და წუთისყოფა უკვდავად ბრუნავს...
ვიდრე ჩემთან ხარ, სიხარულს ბადებ...
და შენს სახელზე ლოცულობს ბაგე...

2

შენ მე მიყვარხარ, როგორც ზღვის ღელვა,
რომლის სუნთქვიდან შენ აღმოცენდი...
შენ მე მიყვარხარ, ვით გაზაფხული,
რომლის ხმებიდან შენ აღმოცენდი...
ვით პოეზია, რომლის თრთოლვა ხარ...
შენ მე მწყურიხარ, როგორც ჰაერი ლამაზი ზეცის,
რომლის სხივიდან შენ აღმოცენდი...
შენ მე მიყვარხარ, როგორც თვალები
რომელთ ვნებიდან შენ აღმოცენდი...
როგორც ოცნება, რომლის ფრთიდანაც შენ აღმოცენდი...
თავდავიწყება —
გრძნობის და ფიქრის, ლოცვის, გმირობის,
რომლის ცრემლიდან შენ აღმოცენდი...
შენშია არსი, სურნელი, ფერი
სანუთროების...
ოდეს ყურს გიგდებ,
და მესმის სიბრძნე იდუმალების
და მესმის ჰანგი მზის და წყვდიადის,
გამოღვიძებულ ვარდის სურნელის,
ოდეს დაფრინავ ჰაეროვანი და ცვალებადი...
მე ცოცხალი ვარ...
ვისში გუგუნებ ვით ოკეანე,
ვისში ზღვად ღელავ, ვისში ჩანჩქერად,
ვისში კი ნაზი ნაკადულივით,
და მაინც შენს ფრთას შემოფარული
ლალადებს, სუნთქავს და ცოცხალია
შენი მსმენელი...
რადგან უშენოდ არის წყვდიადი,
რადგან უშენოდ არ ღირს სიცოცხლეც,
რადგან უშენოდ არც სიყვარული
და არც სიკეთე არ იარსებებს...


ეროვნული ბიბლიოთეკა

## მხოლოდ წინათქმა

შარშან მეტად გულთბილად, დიდი სიყვარულით აღინიშნა სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, საკავშირო სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის — უჩა ჯაფარიძის დაბადების 75 წლისთავი.

საიუბილეო დღეებში დედასამშობლო მიესალმა დიდოსტატს, მგზნებარე პატრიოტსა და მამულიშვილს, რომლის სახელიც დიდი ხანია მშობლიური გახდა ყველა ქართველისათვის, ყველა იმისთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურა, ამ კულტურის ერთ-ერთი დამამშვენებელი — სახვითი ხელოვნება.

მხატვრისა და მისი მდიდარი, მრავალფეროვანი შემოქმედებისადმი გულწრფელმა სიყვარულმა გამაბედვინა, ორიოდე სიტყვა წავუმძღვარო უჩა ჯაფარიძის ნაწარმოებთა მცირე „გამოფენას“, როგორც ჟურნალ „დროშის“ მერვე ნომრის გარეკანის პირველ გვერდზე, ისე მის ჩანართში.

მინდა ჩვენს მკითხველებს შევახსენო სახელოვანი შემოქმედისა და საზოგადო მოღვაწის ბიოგრაფიის რამდენიმე შტრიხი:

უჩა მალაქიას ძე ჯაფარიძე დაიბადა 1906 წლის 17 აგვისტოს; ზღაპრული ზემორაჭის ერთ-ერთ სოფელში, ღარი რომ ეწოდება დასაბამიდან. ქალაქ ონთან მდებარე ამ სოფელში მიიღო პირველი შთაბეჭდილებები, პირველი შთაგონებები.

1922 წლიდან უჩა ჯაფარიძე დიდებული მხატვრის — მოსე თოიძის შეგირდი ხდება. დაარსება სახალხო სამხატვრო სტუდიისა, რომელსაც მოსე თოიძე ხელმძღვანელობდა, ბედნიერად დაემთხვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სწორედ თებერვლის რევოლუციის ქარიშხალს მოჰყვა ხალხის წიაღში დაბადებული ტალანტების ამ შესანიშნავი კერის დაბადება.

შემდეგ თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლის პერიოდი სახელოვანი მასწავლებლების — შარლემანის, ლანსერეს, სიდამონ-ერისთავის და სხვათა ხელმძღვანელობით. პირველი შემოქმედებითი წარმატებანი, მეგობრობა ლადო გუდიაშვილთან...

ლადო გუდიაშვილის სახელის ხსენებისას, არ ძალმიძს არ აღვნიშნო მისი საოცრად თბილი, ძმური დამოკიდებულება უჩა ჯაფარიძის მიმართ.

მახსოვს, როცა გამომცემლობა „განათლებაში“ გამოსაცემად მზადდებოდა მონოგრაფია „უჩა ჯაფარიძე“, ლადო გუდიაშვილი — ამ ნაშრომის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი, სამართლიანად უსვამდა ხაზს უჩა ჯაფარიძის უდიდეს დამსახურებას ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში, უწოდებდა მას დიდ მხატვარსა და მოქალაქეს.

უჩა ჯაფარიძე ხანგრძლივი დროის მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს მხატვართა კავშირს. ამჟამად იგი თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორია და კვლავ ჩვეული ენთუზიაზმითა და ენერგიით შრომობს, რათა ქართულ ხელოვნებას აღუზარდოს საიმედო ახალგაზრდა ოსტატები.

ბატონი უჩა ქართველი მწერლების ყურადღებისა და მრავალი შესანიშნავი პორტრეტის ავტორი — მან შექმნა როგორც კლასიკოსების, ისე თანამედროვე ქართველი მწერლების შესანიშნავი პორტრეტები.

ჩვენ ვამაყობთ ამ მეგობრობით. ასევე ვამაყობთ, რომ უჩა ჯაფარიძე — ჟურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგიის უცვლელი წევრი — აქტიურად მონაწილეობს ჩვენი ჟურნალისტური „სამქროს“ საქმიანობაში.

**ხუტა ბერულავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩანახატი

# უჩა ჯაფარიძე



ლადო გუდიაშვილი



სასიმინდე



საყვედური

რაჭა — მინდაციხე



ეროვნული ბიბლიოთეკა

მყუდროება



ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭიშკარი გურიაში



ბერძენი ქალიშვილი



ნალია ბუგეულში



# ძალა სიტყვისა

სამამულო ომი ახალი დამთავრებული იყო, როცა ილარიონ შაკაია ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობა „აფსნი ყაფშის“ თავმჯდომარედ აირჩიეს.

— ყმაწვილი კაცი ხარ და არ დაიბნე, — უთხრა თავმჯდომარეს კოლმეურნე ბესო ჯინჯოლიამ, — მიდი, გაგვიძეხი და გამოგყვებით.

ილარიონმა გაიღიმა, თქმით კი არაფერი უთქვამს.

ადრეული გაზაფხულის იმ ქინქლიან დილით კოლმეურნეობის კანტორაში ახლად არჩეული გამგეობის პირველი სხდომა მიმდინარეობდა. ბჭობდნენ, კამათობდნენ, მომავლის გეგმებს სახავდნენ. როცა საუბარი სახელმწიფოსთვის ჩაის ფოთლის ჩაბარების ვალდებულებებზე ჩამოვარდა, თავმჯდომარე ჩაფიქრდა, თანასოფლელებს მიმოავლო თვალი და იკითხა:

— შევძლებთ?

— რა თქმა უნდა, შევძლებთ!

— ცოტა გაგვიჭირდება.

— ცოტა კი არა, ძალიან...

ჩამოვარდნილი სიჩუმე თავმჯდომარემ დაარღვია. წამოდგა. მოკლე ნაბიჯით რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა კაბინეტში და ჭარმაგ მოხუცთან შეჩერდა.

— თქვენ? თქვენ რაღას იტყვით, ბესო-პაპა?

— თუ ესენი მხარში ამოგვიდგებიან და მოინდომებენ, შევძლებთ! — პაპა ბესომ მეჩაიეებს შეავლო თვალი.

წამოდგა მოწინავე მეჩაიე შინო ჭოლარია.

— მოვინდომებთ! — მოსაუბრე შეჩერდა და განაგრძო, — ლენა ჯონჯოლია, ლილი ჭოლარია, დაფია ყოლბაია, ნება ჭოლარია... აგერ, სხვები აქ არიან, ყველა მოვინდომებთ და ორმოცდაათ ტონა ჩაის ფოთოლს მოვკრეფთ.

— მაგასაც ვნახავთ! — ჩაილაპარაკა ვიღაცამ...

ნახეს. 1947 წელი იდგა. კოლმეურნეობა „აფსნი ყაფში“ თანდათან შლიდა მხრებს და ურწმუნოებმა საკუთარი თვალით ბევრი რამ იხილეს.

იმ წელს კოლმეურნეობამ ჩაის ფოთლის გეგმას ხუთი ტონით გადააჭარბა. არც მეთამბაქოებს გაუტეხიათ სიტყვა. მესიმინდეებმაც იყოჩაღეს, მეხილეებმაც, მწყემსებმაც...

— გახსოვთ, — ილიმება სოციალისტური შრომის გმირი შინო ჭოლარია, — ხომ გახსოვთ, კოლმეურნეობის გამგეობის პირველი სხდომა რომ ჩაატარა ილარიონ შაკაიამ?

— გვახსოვს, — ღიმილით უკრავენ კვერს კოლმეურნეები.

— ისიც მახსოვს, — ახლა სოციალისტური შრომის გმირი დაფია ყოლბაია ერევა საუბარში, — ორმოცდაათი ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფა დიდი მიღწევა რომ გვეგონა.

— აბა!

— როგორ წარმოვიდგენდით მაშინ, რომ მალე ხუთას ტონა მაღალხარისხოვან ჩაის ნედლეულს ჩავაბარებდით სახელმწიფოს.

მოდით, ციფრები მოვიშველიოთ. შარშან — მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს, ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობა „აფსნი ყაფშს“ 570 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოეკრიფა.

მიდგნენ სათუთად მოვლილ პლანტაციებს და 650 ტონა მაღალხარისხოვანი „მწვანე ოქრო“ ზღვასავით დაახვავეს.

რძე? მეცხოველეებმა 720 ცენტნერი რძე მოწველეს თითოეული ფურიდან. სიმინდი? უამინდობის მიუხედავად, სიმინდის საშუალო საჰექტარო მოსავალმა 23 ცენტნერი შეადგინა, 5 ცენტნერით გადაამეტა დაგეგმილს და 450 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მიეყიდა სახელმწიფოს. დიდი გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ტუნგოს, აბრეშუმის პარკის, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების სახელმწიფო გეგმები...

სადღაა კვარი და ისლით დახურული სახლები! კანტორისკენ მიმავალი კოლმეურნეები ნათურებით გაკაშკაშებულ ფართო გზაზე მოაბიჯებენ. ერთმანეთს ენაცვლება თუნუქითა და შიფერით გადახურული ორსართულიანი სახლები. აქეთ-იქიდან ეზოებში ჩამომდგარი მსუბუქი ავტომანქანები იტაცებენ თვალს.

— შევძლებთ! — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე და იღიმება.

ურწმუნოები აღარ არიან. კანტორაში შეკრებილი კოლმეურნეები ღიმილს ღიმილით უპასუხებენ და ერთმანეთს აღარ აცლიან:

— რა თქმა უნდა?

— აბა არა!

დღეს მეტად სერიოზული საქმე აქვთ განსახილველი — სასურსათო პროგრამის სარეალიზაციო საკითხებზე მსჯელობენ.

მსჯელობენ და დაობენ, ახალ-ახალ წინადადებებს აყენებენ, სწონიან, აანალიზებენ, აკონკრეტებენ...

აფხაზეთის ამ ერთ-ერთ წარმტაც სოფელს ორმოცდაათი წლის ისტორია აქვს. სასოფლო-სამეურნეო არტელს 35 წელია უცვლელად ხელმძღვანელობს საკოლმეურნეო მშენებლობის ენთუზიასტი, უნარიანი ორგანიზატორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინის ორდენის კავალერი ილარიონ შაკაია.

კოლმეურნეებს უყვართ და ენდობიან თავიანთ თავკაცს. მკაცრია თავმჯდომარე, მკაცრია და სამართლიანი. სიკეთეს არასოდეს დაგიკარგავს. როცა საქმე მოითხოვს, დაგსჯის კიდეც, აგიხსნის, გაგიმარტავს, დაგსჯის და მალე უპირველეს შემწედ ისევ თვითონვე ამოგიდგება მხარში.

აი, ამიტომაც აქვს ფასი და მადლი მის სიტყვას.

— ქუდზე კაცი! — იტყვის ილარიონ შაკაია და მთელი კოლმეურნეობა ირაზმება ახალი დავალების გადასაჭრელად.

პრობლემა ბევრი აქვთ. დღევანდელი ყოფა მუდამ ახალ-ახალ ამოცანას აყენებს კოლმეურნეების წინაშე.

შეიკრიბებიან, იმსჯელებენ, ითათბირებენ, ქუდზე კაცი შეიმართება და ბრძოლის დაწყების წინ ომახიანად დასძახებენ:

— შევძლებთ!

**დომენტი ჩაკაბერია,**

ოჩამჩირის რაიონი.

# ძია ვანო

აბა, სცადეთ და მხრებით ატარეთ სიხარულითა და მღელვარებით, იმედითა და ტკივილით აღსავსე 94 წელიწადი! ეს ასაკი ვის არ მოხრიდა წელში, მას კი თითქმის ვერაფერი დააკლო. თავაწეული, ამჟამად დადის ქვეყანაზე. აქვს კიდევაც საამაყო: არასოდეს გადაუხვევია სწორი გზიდან, მოქალაქეობრივი მოვალეობა პირნათლად მოუხდია სამშობლოს წინაშე, სახელოვანი შვილებიც გაუზრდია.

94 წლის წინათ, სურამში, ღარიბი გლეხის ოჯახში დაიბადა ივანე არტემის ძე დავითიანი. ჯერ ადგილობრივ სამრევლო სკოლაში შევიდა, შემდეგ ნიჭიერი ახალგაზრდა სურამის მცხოვრებთა დახმარებითა და შუამდგომლობით ნერსესიანის სახელობის სემინარიაში ჩარიცხეს.

სემინარიაში სწავლის დროიდან იგი პერიოდულ პრესაში თანამშრომლობდა. წერდა კორესპონდენციებს, ნარკვევებს, აქვეყნებდა თარგმანებს, აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდათა არალეგალური ორგანიზაციის საქმიანობაში.

ხანგრძლივმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ ბევრი სიხარული მოუტანა ივანე დავითიანს. იგი მეტწილად საქართველოში მოღვაწეობდა. იყო სკოლის მასწავლებელი, სასწავლო ნაწილის გამგე, დირექტორი, საბავშვო სახლების ინსპექტორი. 50 წელი შეალია საყვარელ საქმეს.

პარალელურად სხვა საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობასაც ეწეოდა. ვინ მოთვლის, რამდენი ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნაში მიუძღვის წვლილი, რამდენი მომღერალთა გუნდი ჩამოუყალიბებია, რამდენი უფასო ან იაფფასიანი წარმოდგენის გამართვაში მიუღია მონაწილეობა! წარმოდგენებს უჩვენებდნენ როგორც სომხურად, ისე ქართულად. ადგილობრივ ახალგაზრდებთან ერთად პიესებში მონაწილეობისათვის იწვევდნენ ცნობილ ქართველ და სომეხ მსახიობებს. რეპერტუარს ამშვენებდა ქართველი და სომეხი მწერლების პოპულარული ნაწარმოებები.

ივანე დავითიანი იმ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც პირადი შეხვედრები ჰქონიათ ჩვენი კულტურის ცნობილ მოღვაწეებთან. ეს მოგონებანი მას გამოქვეყნებული აქვს სხვადასხვა ქართულ და სომხურ ჟურნალ-გაზეთებში.

მთავრობამ და ხალხმა სათანადოდ დააფასეს ივანე დავითიანის 20 წლის სასცენო მოღვაწეობა. 1958 წელს ბორჯომში იუბილე გაუმართეს, ბევრი თბილი სიტყვა უთხრეს.

1963 წელს, დაბადების 75 წლისთავის აღსანიშნავ იუბილეზე სომხური კულტურის დაუღალავ მუშაკს, ქართველთა კეთილ ძმობილს მხურვალედ მიესალმნენ ი. გრიშაშვილი, ნ. თორლომიანი, დ. სულიაშვილი, ს. ავჩიანი და სხვები.

ივანე დავითიანი თარგმნის როგორც ქართულიდან სომხურად, ისე სომხურიდან ქართულად. მან დიდი სიყვარულით თარგმნა ი. ჭავჭავაძის, ხ. აბოვიანის, ვაჟა-ფშაველას, ა. შირვან-ზადეს, ე. ნინოშვილის, კ. გამსახურდიას, ა. ისააკიანის, ლ. ალაიანის, დ. დემირჭიანის, გ. ჩიქოვანის და სხვათა ნაწარმოებები.

— ხანდაზმულობის მიუხედავად, — ამბობს ივანე დავითიანი, — განვაგრძობ ლიტერატურულ მუშაობას, არ ვღალატობ ჩემს საყვარელ საქმეს.

...რედაქციაში ყოველთვის გამართული, ახალგაზრდული ნაბიჯით შემოდის და ცეცხლი, სიხალისე შემოაქვს თან. ბავშვივით გაიხარებს, როცა გულწრფელად გაიკვირვებთ:

— 94 წლისა ბრძანდებით? რას ბრძანებთ, არაფერი გეტყობათ!

**ლია მიქაძე**

თავის ახალ მეზობლებს, გრებენშჩიკოვებს, ბაგვების მჯანდრავმა ვალიკოვმა სასამართლოში უჩივლა. საქმე ასე და ამგვარად გახლდათ.

ალა გრებენშჩიკოვამ, ახალგაზრდა ტუტრუცანა ქალმა, გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას სათბურის კვლები ჩაყარა ეფიმის აბანოს გვერდით. ამ აბანოს კედელი გრებენშჩიკოვების ბოსტანში გადიოდა. მოზიდა ნაკელი, კაი ზორბა გორაკი დააყენა... ნაკელი რომ კარგად გამომშრალიყო, უფრო მშრალი რაც იყო, იმას სარჩილავი ნათურით წაუკიდა ქვევიდან, ზევიდან კი სველი ნაკელი მოაყარა და ასე დატოვა ღამე. მერე იმ გორამ მთელი ღამე იხრჩოლა, იბოლა, გამოხმა, გამოხმა და ცეცხლიც წაიკიდა. ჰოდა, ეფიმ ვალიკოვის აბანოს კედელიც დაიწვა. კიდევ რაღაც-რაღაც ფიცრულები დაიწვა: შეშის ფარდული, წივა, ტყრუშული... მაგრამ ეფიმს განსაკუთრებით აბანო დაენანა, ახალი აბანო იყო, ერთი წელიც არ ეხმარა, შიგ მთელი ზამთარი ბაგვებს, თოვლში ატარებელ შალის სქელ წინდებს, ჯარდრავდა.

გრებენშჩიკოვასთან ტკბილი სიტყვით არაფერი გამოვიდა: დედაკაცმა თვალზე ლიბრი აიფარა და დაზღვევის აგენტს რწმუნება დაუწყო, ნაკელი თავისით დაიწვაო.

— ეგა თვითანთება იყო! — იმეორებდა გრებენშჩიკოვა, თან ეფიმსა და აგენტს ცხვირწინ ხელს უტრიალებდა, — გაიგეთ, ხალხნო, გაიგეთ!

ამ „თვითანთებამ“ ბოლოსდაბოლოს, აგენტიც გააცეცხლა.

— სასამართლოში უჩივლე, ეფიმ! — ურჩია მან ვალიკოვს, — თორემ ეგა ჩვენ სულელებად გვთვლის!

ვალიკოვმაც უჩივლა. მაგრამ რაკი მომჩივანობა საშარო საქმეა და სოფელში ამას კაიკაცობად არავინ თვლის, ეფიმიც, როგორც იტყვიან, ხიდის თავში იდგა და გამვლელ-გამომვლელს უხსნიდა და უხსნიდა:

— არა, კაი სიტყვით, მეზობლურად რომ რამე გამსვლოდა, ვინ ოხერი! ჩივილი რა ჯანდაბად მინდოდა? მაგრამ ეგა, ეგ რომ ლაპარაკს დაიწყებს, ენას გააჩერებს? სიტყვას ჩაურთავ, რო! თვითანთება იყო, ბატონო, თვითანთებაო, ვთქვი და გავათავეო, აბა!

გრებენშჩიკოვას ქმარი, ისიც აგრონომი, მივლინებაში იყო, როცა ჩამოვიდა, მან და ეფიმმა სიტყვა უთხრეს ერთმანეთს.

— ნუთუ უსასამართლოდ ვერ მოგვარდებოდა ეს საქმე? გადაგიხდით აბანოს საფასურს და...

— ეგ უკვე თქვენი საქმეა, მიდი, შენს დედაკაცს მოელაპარაკე, იქნებ, მოუხერხო რამე... მე ვერაფერს გავხდი. მე ეგ შენი სასამართლო ისე მინდა აი, ძაღლს რომ მეხუთე ფეხი სჭირდება, ისე...

— ძალით ხომ არ დაუწვავს, ბოლოსდაბოლოს.

— ძალით დაწვაო, ვინ ამბობს? ძალით არ დაუწვავს, მაგრამ რომ გვასულელებს, რას გვასულელებს? თვითანთებაო...

— თვითანთება არცთუ იშვიათი ამბავია!

— კი, ვიცი, ასეც ხდება, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ნაკელი წლობით ლპება, თანაც დაზვინულ-დატკეპნილია. ამას კიდევ ერთ ღამეში რა თვითანთება აუტყდა? არ ხდება აგრე. არა, ძვირფასო ვლადიმერ სემიონოვიჩ!



# სასამართლო

ვასილ შუკშინი

თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ

ვლადიმერს ცოლისა ეშინოდა და ძალიანაც უხაროდა, რომ საქმე სასამართლოზე იყო გადაცემული და ლაპარაკით მეზობელთან უკვე ვერაფერს გააწყობდა: გადასაწყვეტი უჩემოდ გადაწყდებაო.

— თქვენ თვითონ გაარკვიეთ ყველაფერი!

— გავარკვევთ!

და აი, განკითხვის დღეც დადგა. სასამართლო რაიონიდან სხვა, უფრო მძიმე საქმეზე გამოვიდა, თან გადაწყდა, რომ გზად „თვითანთების“ საქმეც მოეთავებინათ. სასამართლო სოფლსაბჭოში გაიმართა... იქეთ მიმავალ ეფიმს ფეხი ეკვეთებოდა — ეშინოდა. რატომღაც გაახსენდა, ერთხელ, ომის დროს, იგი, დემობილიზებული ფეხმოჭრილი ინვალიდი, მთვრალი როგორ უტრიალებდა თავზე ყავარჯენს სოფლსაბჭოს მაშინდელ თავმჯდომარეს მიტკა ტრიფონოვს და როგორ სთავაზობდა მას, ჰა, ეს ჩემი ორდენები შენა გქონდეს, შენი ფეხი მე მომეციო. მაშინ ეგრევე იოლად შეეძლოთ ჩაესვათ, მაგრამ თვით მიტკამ „დააჭირა მუხრუჭს“, სასამართლოში არ უჩივლა, თუმცა, მერმე და მერმე, დიდხანს აშინებდა: „ხომ არ გიჩივლო, ჰა, მიტკა, სადაც ჯერ არს?“

„ეგრე იყო, აბა! მე კიდევ, ასე გამოდის, ახლა მივდივარ, რომ ადამიანი ჩავაყუდებინო! — გულს ასკდებოდა ეფიმი, — რა ეშმაკად მინდა, როგორა გგონიათ, მაგრამ კაი სიტყვით რომ არაფერი გამოვიდა?“ თან ის ტუტრუცანა ალა გრებენშჩიკოვა ედგა თვალწინ, ახსენდებოდა: ესა, ისაო, თვითანთებაო, რომ ამბობდა, ეფიმისათვის ერთხელაც არ შეუხედავს, სულ იმ დაზღვევის აგენტს უყურებდა: აქაოდა, ეფიმ ვალიკოვი მაინც ვერაფერს გაიგებსო, იმის თავში არ შევა, რა არის თვითანთებაო.

ეფიმს პროტეზი არ გაუკეთებია, ყავარჯნით მიდიოდა, უფრო შესამჩნევი რომ ყოფილიყო მისი უფეხობა. ორდენები, რაც მართალი, მართალია, არ გაუკეთებია: ისიც ეყოფა, რაც მაშინ, დემობილიზაციის პირველ ხანებში, ახმაურა და აყალარუნა.

„მეორე მხრივ, ყველამ რომ ასე ცეცხლი გააჩინოს, წვას და ბუგოს ყველაფერი, ამ დუნიაზე მე, ჩემო ბატონო, ასე, ყავარჯნის ამარა დავრჩები. ეგ კი არადა, მეც შიგ გამომწვავენ და ამომბუგავენ. ასე რომ, ცამდე მართალი ვარ, ცამდე“.

გრებენშჩიკოვა უკვე სოფლსაბჭოში იყო, ვალიკოვს ამაყად შეავლო თვალი, არც მისალმებია და არც არაფერი, ზურგი შეაქცია, გესმით!

„ვაი, შენ, ჩემო თავო, უბედურო! მადმაზელი არც კი გვესალმება, ფეხებზე გვიკიდებს“, — გაეცინა ეფიმს თავისთვის. გაბრაზდა და გადაირია ვერ ვიტყვით, მაგრამ ის კი უნდოდა, ამდგარიყვნენ და ამ „ბარონესასთვის“ პირში მიეხალათ: „რო გვეამაყები, რას გვეამაყები, ერთი, ქალბატონო? კაცს ცეცხლი წაუკიდე, გადაწვი და ცხვირსაც უბზუებ?!“

მოსამართლემ, დაღლილმა ახალგაზრდა კაცმა, დიდხანს იყურა ქაღალდებში, შემდეგ ალასა და ეფიმს მიაჩერდა...

— მოგვიყევით, რა მოხდა...

ეფიმმა იფიქრა, ალბათ, მე უნდა დავიწყოო.

— იცით, როგორ იყო ეს ამბავი. აი, ამან, ამ მოქალაქემ...

— ისე ლაპარაკობთ, თითქოს, დიდი მტრები იყოთ — „მოქალაქემაო“... მეზობლები რომ ხართ, ხომ არ გავიწყდებათ?!

— მეზობლები ვართ, კი, — სიტყვა ჩამოართვა ეფიმმა, — მე, მართალი გითხრათ, ეს სასამართლო ძაღლს რომ მეხუთე ფეხი სჭირდება, ისე მჭირდება...

— და მაინც იჩივლეთ...

— გაიგეთ, რომ ამ ადამიანს კაპიკის გადახდა არ უნდა, არც აპირებს! ჩემი აბანო კიდევ ახალი იყო, ახალთახალი, მთელი სოფელი დამიმოწმებს.

— როგორ მოხდა ეგ ამბავი, ალა კუზმინიჩნა?

— პატარა სათბური გავაკეთე და ცოტა ნაკელი შევათბე...

— ცეცხლი წაუკიდეთ? დაწვით?

— ასე ვთქვათ. ცოტა ხანს ეკიდა, კი, მაგრამ მერე ზედ სველი პატივი მოვაყარე. ეტყობა, გადახურდა ღამე და, მოგეხსენებათ, ხდება თვითანთება...

— აგე, ხომ გესმით?! — გაშტერდა ეფიმი, — მე, შეიძლება ითქვას, ამ ნაკელზე ვარ დაბადებული! რაც თავი მახსოვს, იმას არ ვაბრუნებ წალმა-უკულმა? ჰოდა, როგორ გგონიათ, მთელი სიცოცხლე ნაკელი რა ოხრობაცაა, ვერ გავიგებდი? არც ის დაივიწყოთ, რომ ყოველ წელიწადს წივასა ვწვავთ! ეგ პატივი რაც წალმა-უკულმა მიბრუნებია, რა ვიცი!..

— ამხანაგი ვალიკოვი ირწმუნება, ნაკელის თვითანთება გამორიცხულიაო. ჩემი პრაქტიკიდან ასეთი რამ არ მახსოვსო... რას იტყვით ამაზე?! — ეკითხებოდა ალას მოსამართლე.

— ამის საფუძველზე თვითანთების ფაქტის უარყოფა ხომ არ შეიძლება? თავად მოგეხსენებათ, მეცნიერულ მონაცემებსაც უნდა გაეწიოს ანგარიში! — თავისას მირეკავდა ალა გრებენშჩიკოვა.

მოსამართლე თავის კანტურს განაგრძობდა.

„ახლა იმასაც დამიმტკიცებენ, რომ კაცი კი არა, აქლემი ვარ“, — ნაღველი მოაწვა ეფიმს.

— მე მესმის. მესმის, რომ ამხანაგმა ვალიკოვმა მატერიალური ზარალი განიცადა, მაგრამ ობიექტურად მე არაფერ შუაში ვარ. ასე ხომ შეიძლებოდა აბანოს მეხი დაცემოდა და დამწვარიყო. ჩემი ბრალი მხოლოდ ისაა, რომ ის სათბური მათი აბანოს ახლოს გავმართე. მაგრამ ეგ აბანო ცალი კედლით ჩვენს ბაღჩაში გამოდის, ასე რომ, აქ კრიმინალური ქმედება არაა!

ცხადი იყო, ალა კარგად იყო მომზადებული.

„ორდენები უნდა გამეკეთებინა“, — გაუელვა თავში ეფიმს.

— თანაგრძნობას ვუცხადებ ამხანაგ ვალიკოვს, ესაა და ეს, რაც მე შემიძლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსამართლემ სიგარეტს მოუკიდა, ნეტარებით დაარტყა ღრმა ნაფაზი და მშვიდად, ხმის აუწევლად თქვა:

— უნდა გადაუხადოთ, ალა კუზმინიჩნა!

— რატომ? — დაიბნა ალა.

— რა თქვით?

— რატომ უნდა გადავუხადო-მეთქი?

— ნუთუ მართლა განაჩენი გინდათ გამოგიტანოთ? სირცხვილია, ალა კუზმინიჩნა, სირცხვილი!..

— რაო, თქვენც უარყოფთ თვითანთების ფაქტს?! — გაწითლდა ალა კუზმინიჩნა.

— რა თვითანთება, რის თვითანთებაო, ერთი! ჩვეულებრივი ცეცხლის წაკიდება იყო, მორჩა და გათავდა. არაწინასწარგანზრახული, რასაკვირველია, მაგრამ მაინც ცეცხლის წაკიდება... ეს ხუთ წუთში დაგიმტკიცდებათ და უხერხულ დღეში ჩავარდებით. მოელაპარაკეთ, მოურიგდით მეზობელს ადამიანურად... დაახლოებით რა ეღირება ის თქვენი აბანო, ვალიკოვ?

ეფიმიც დაიბნა — მადლიერებამ დააბნია — და აბანო ძალზე იაფად შეაფასა.

— აბანოს, მართალია, ახალი ეთქმოდა, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ფიჭვნარიდან გამოზიდული ნაქცევი ხეებით...

— რა ეღირება, თქვი, ადამიანო?!

— ასე ორასი, ორას ორმოცდაათი... ისე, ფიცრები მომიტანონ და მევე, ჩემი ხელით გავმართავ! იმათ ხომ მეურნეობაში მანქანები ჰყავთ, დირექტორს თხოვონ და... უარს ეტყვიან, თუ რა?

— იქ ხომ სხვა რაღაცეებიც დაიწვა?

— წივა იყო... პატარა ფარდულიც... ეგ არაფერი, ფარდულს ფიცრების მონარჩენისგან გავაკეთებ.

— მაშ, ორას ორმოცდაათი მანეთია გადასახდელი, — საბოლოო სიტყვა თქვა მოსამართლემ, — აი, რას გირჩევთ, ალა კუზმინიჩნა, ადექით და გადაიხადეთ ეს ფული, თავს ნუ მოიჭრით!..

ალა დუმდა, არც მოსამართლეს უყურებდა, არც ეფიმს.

— ახლა, ამ წუთას საიდან მოგიტანოთ?

„ამისთანა სიამაყე თუ გინახავთ, ხალხნო?" — შეებრალა ეფიმს ქალი. შეებრალა და დაშოშმინება დაუწყო.

— ფული მე რაში მინდა, ნეტავ?! ორი მანქანა ფიცარი მომიტანეთ და მორჩა. ადექით და მეც ისე გადამიხადეთ, თითქოს ვინმე კალატოზი გექირავებინოთ. ორმოცდაათ მანეთს იღებენ... საჭმელზეც — ოც მანეთს, სულ 80 მანეთი. იმ ორ მანქანა ფიცარში რასაც მისცემთ, არც არაფერში მაინტერესებს. იქნებ, სულაც უფასოდ იშოვოთ, რა ჩემი საქმეა. ასეც იქნება, ვიცი, უფასოდ იშოვით. ახალგაზრდა სპეციალისტები ხართ, სიხარულით გამოგიწერენ იმ ორ მანქანას მტკიცე ფასებში. მე რომ...

— თანახმა ხართ?! — ჰკითხა მოსამართლემ გრებენშჩიკოვას.

— ქმარს უნდა მოვეთათბირო, — აუჩქარებლად უპასუხა ალამ.

„ეგრე იყოს, შენი ქმარი შენისთანა კი არაა, გაქირ-მაქირს არ მოჰყვება".

ეფიმი სასამართლოდან კარგ გუნებაზე ბრუნდებოდა შინ. ძალიან უნდოდა ვინმესთვის მოეყოლა, როგორ წარიმართა სასამართლო, რა კარგი მოსამართლე შეხვდა, როგორ წუთში მოაგვარა ყველაფერი ისე, რომ თვითონ ეფიმს პირის გაღებაც არ დასჭირვებია. შინ სულ ფრენა-ფრენით მივიდა.

ეფიმის ცოლი, მარია, ქმარს სახეზე შეხედა თუ არა, მაშინვე მიხვდა, ყველაფერი კარგად რომ დამთავრდა.

ეფიმმაც თამამად დააძრო ჯიბიდან ბოთლი და დაიწყო:

— ყველაფერი რიგზეა! მოსამართლე შეგვხვდა, მაგრამ რა შეგვხვდა! სოლომონ ბრძენი! ხმა, კრინტი არ გავიგონოო, მაშინვე ენა მუცელში ჩაიგდებინა. თქვენაო, როგორ არა გრცხვენიათო! რა თვითანთებაო, რის თვითანთებაო! დაუწვი კაცს აბანო? დაუწვი! ჰოდა, ადექი და გადაუხადეო!

— ერთი შეხედე!

— აბა, ისეთი ცეცხლი დაანთო, ქალმა არ იცოდა, თვალები საით წაეღო. თქვენაო, ეუბნება, ხომ ხედავთო, კაცი ცალფეხაოო... — ეფიმი ჩქარა თვრებოდა ხოლმე, არაფერს აყოლებდა, — ეგაო, ეუბნება, ადგება და დაწერს, სადაც ჯერ არს და ვირის აბანოში ამოგაყოფინებენ თავსო... მაგასო, ის მეორე ფეხი სადა აქვს თუ იციო? თუ არ იცი, იცოდე, მოსკოვთან აქვს, იქა აქვს დატოვებული, შენა კიდევ რა ცირკებს უწყობ აქაო? მაგან საკმარისია ერთი სიტყვა თქვას და შავი დღე დაგადგებაო...

მარია ხვდებოდა, ეფიმი მეტისმეტად რომ შეიჭრა როლში, მაგრამ გინდ ასე თქვი და გინდ ისე, დააკისრეს თუ არა იმ შენს ალას აბანოს საფასურის გადახდა? — დააკისრეს!

— ღმერთო, არის ამ ქვეყანაზე სამართლიანი ხალხი, არის!..

— ნაფრონტალია კაციო. შეხედავ და მაშინვე შეატყობო. ვითომ შენც ნასწავლი ქალი ხარ, მაგრამ არა გრცხვენიაო, ეუბნება. რო ედავები, ვის ედავები, თუ იციო? ეგაო, ეუბნება...

— კარგი, ენად ნუ გაიკრიფე, ვხედავ, გიხარია და გეყოფა, — გული მოუვიდა მარიას, — ამდენ ლაქლაქს ისა ჯობია, წახვიდე და იმ კაცს, მოსამართლეს, ერთი კილო ქონი წაუღო. ბავშვებს მიუტანს სოფლურ ქონს, პურს მიატანენ.

— ერთბაშად ქონით არ გააკვირვო ახლა! არ უნახავთ, თუ რა!

— სად უნდა ენახათ?! მაღაზიის ქონი არ შემიდარო ახლა ჩვენებურს, სოფლურს! ხორციანი შეარჩიე და მიდი, წაუღე. მადლობაც მოახსენე. თორემ, რა გამოდის, დაადე თავი ამ შენი ყავარჯნებით და მადლობაც არ გითქვამს, ასეთი საქმე გაგიკეთა კაცმა!

„ე რა ჭკვიანი დედაკაცი მყოლია, — გაუკვირდა ეფიმს, — არადა, მართლა ღორულად გამომივიდა, კაცმა ყველა ღონე იხმარა, რომ... მე კიდევ"...

— ჩემთან ის, რასაკვირველია, არ დალევს. ყველა იმას უყურებს, ხომ არ დაიწყებს ახლა ჩემთან...

— წაუღე-მეთქი ქონი!..

— წავუღებ, ჰო. იმ კაცისთვის მე არაფერი მენანება! ცოტა ფული ხომ არ მიმეცა?

— ფულს არ აიღებს. ფულისთვის ყურს აუწევენ, ქონი შეიძლება...

ქონი სუფთა ნაჭერში შეახვიეს და ეფიმი ისევ სოფლსაბჭოსკენ წახისფეხდა. მიდიოდა და მიუხაროდა, მოსამართლეს რომ გაახარებდა.

„როგორ გგონიათ, რატომ ხდება ამდენი სისაძაგლე ამქვეყნად: კაცი კაცს სიკეთეს გაუკეთებს, ის კიდევ, ვისაც სიკეთე გაუკეთეს, სიკეთის მქნელს, ვითომც არაფერიო, ზურგს შეაქცევს, ჩაიწყობს ჯიბეში ხელებს და მიდის და მიდის თავის გზაზე. სიკეთეს სიკეთით კი არ უხდის, გესმის? ჰოდა, ერთხელ გაგიკეთებს კაცი სიკეთეს, მეორედ გაგიკეთებს და რომ არ დაუნახავ და ერთი სიტყვით, ნახევარი სიტყვითაც რომ არ ეტყვი მადლობას, უკვე იმასაც დაეკარგება სხვა დროს, სხვისთვის სიკეთის გაკეთების ყოველგვარი ხალისი. მერე კიდევ, იცოცხლე, კბილებს ვალრჭიალებთ: წახდა ცხოვრებაო, [illegible]ხით! შენც ვერ შეძლებ და კაცს სიკეთისთვის სიკეთეს ვერ გადაუხდი?! ა, ეს ქონი რა დიდი რამეა, მაგრამ დროზე რომ ვერ მიხვდები კაცი, რა უნდა გააკეთო?"

ეფიმს სიამოვნებდა, ცოტაც და მოსამართლეს ასეთი გულისხმიერი, მიხვედრილი, თავაზიანი რომ წარუდგებოდა. გრილმა დაჰკრა, გამოფხიზლდა: როგორც სწრაფად თვრებოდა, ისე სწრაფად ფხიზლდებოდა. „ხალხნო, ხალხნო-მეთქი... უჭკუონი არა ხართ, ჭკვიანები ხართ, მაგრამ როგორ იცხოვროთ არ იცით, არა!"

მოსამართლე ჯერ ისევ სოფლსაბჭოში იყო, წასვლას აპირებდა.

— ერთი წუთით, ამხანაგო მოსამართლევ, — შეაჩერა ეფიმმა, — კაბინეტში შევიდეთ, თუ შეიძლება... აქეთ, ა, აქეთ, აქ არავინაა. შინ მიდიხართ, ამხანაგო მოსამართლევ?!

მოსამართლე დაღლილი სახით (რა ღლით, ნეტავი? ნუთუ განაჩენის გამოტანა ასე ძნელი საქმეა?) მიაჩერდა.

— ბალღები თუ გყავთ?

— სად?

— შინ?

— მე?

— ჰო!

— მყავს. რატომ მეკითხები?

— თუ გყავთ, აი, ეს ჩვენებური, სოფლური... ისა... ქონი წაუღეთ... ქალაქელ ბალღებს ხორციანი უყვართ... შევარჩიე. სოფლელი კაცი ფიზიკურად მუშაობს და იმას ოღონდ ქონი არ მოაკლო... ქონი ძალიან მაწიერია, აძლობს კაცს, თქვენა კიდევ, ქალაქელებს უფრო გემრიელი კერძები გიყვართ. ასეა, და! მაინც რა მაგრად შეუხვევია.

— რა არის ეს? თქვენ...

— ქონია, ბალღებს წაუღეთ!..

მოსამართლემ უნებლიედ კარისკენ გაიხედა. შემდეგ ეფიმს მიალურსმა თვალი.

— რა მოხდა? — ჰკითხა ეფიმმა, — ბალღებს წაუღეთ-მეთქი!

— არაა საჭირო, — ჩუმად თქვა მოსამართლემ.

— რას ბრძანებთ. განაჩენის გამო კი არ მოგართვით, ეგა უკვე წასული ამბავია. ვიფიქრე, იქნებ ბალღებს წაუღოს-მეთქი! რა მოხდა? ეს ხომ ფული არაა, ფულს მე თქვენ ხომ არ!..

— არაა საჭირო-მეთქი! არაა საჭირო! და ახლავე გადით აქედან! — მოსამართლე შეტრიალდა და თვითონ გავიდა ოთახიდან. გავიდა და კარი მაგრად მოიჯახუნა.

ეფიმი როგორც იდგა, ისევე გახევდა ადგილზე. იდგა ყავარჯნებზე დაყრდნობილი და ხელში ის ქონი ეჭირა; ახლაღა მიხვდა, მიხვდა რომელია, გულის კოვზთან ტკივილი იგრძნო, რომ არ იყო საჭირო ქონის მოტანა, არ იყო... რა ექნა, არ იცოდა, იდგა და ქონს დასცქეროდა.

კაბინეტში მოსამართლემ შემოჰყო თავი: — მოდიან... წადი აქედან, წადი-მეთქი... ქონი კარგად შეახვიე. არ დაგინახონ. სწრაფად!

ქუჩაშიღა მოისაზრა ეფიმმა, ახლა რაც უნდა ექნა: „მივალ შინ და მანკას, იმ მამაძაღლს, დედას ვუტირებ!"

გოეთე

გერმანულიდან თარგმნა გურამ ქანქავამ

# პ რ ო მ ე თ ე

დააპირქვავე ჩვენს თავზე, ზევსო, შენი ზეცა
ოხშივრიან, მძიმე ღრუბლებით
და როგორც ბალღმა,
ბირკიან ბალახს თავს რომ აცლის,
გაკენწლე მძლავრი მუხები და მთაგრეხილები,
მაგრამ შენ — ძვრასაც ვერ უზამ ჩემს
დედამიწას,
რომელზედაც დგას ჩემი ქოხი,
ვერც ჩემს ქოხს, შენ იგი არ გიშენებია,
და ვერც ჩემს კერას ხელს ვერ შეახებ,
რომლის ლადარი და მხურვალება
შენ გეხარბება.

ამ მზის ქვეშეთში მე არ ვიცნობ
თქვენზე ურგებს, ღმერთებო, არვის!
მკაცრ მსხვერპლშეწირვით,
ლოცვა-ლალადის ხშირი სუნთქვით
ასაზრდოებთ თქვენს ულიმღამო დიდებულებას
და სავალალნო გახდებოდით, რომ არ
ბავშვები გულუბრყვილო,
მათხოვრები
და იმედებით მუდამ აღსავსე უგუნურები.
ბავშვი რომ ვიყავ
და ხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებდი,
ვაპყრობდი ჩემს ცდუნებულ თვალებს
მზეს — ისე, თითქოს იქ, იმ უწვდენ
სიმაღლეებში,
ყური იყოს — ჩემი ვედრების შესასმენად,
ან გული იყოს, მსგავსი ჩემისა,
დაჩაგრულთა შესაბრალებლად.

ვინ შემეშველა
ტიტანების ქედმაღლობის მოდრეკაში?
ვინ მიხსნა მე სიკვდილისაგან?
მხდალ მონობისგან?
ყოველივე შენ თვითონ არ ჰქმენ,
მხურვალე ცეცხლით განწმენდილო, გულო ჩემო?
თუმც ანთებული ჭაბუკურად, სიკეთით სავსე,
ხსნის სამადლობელს სწირავდი იმას,
ვისაც იქ, მაღლა, თანგავდა ძილი!
შენ თაყვანი გცე? რისთვის?
ოდესმე ტკივილი თუ დაუშოშმინე
მწარე ფიქრებით დამძიმებულს?
ოდესმე ცრემლი თუ შეუშრე
შიშჩამდგარ თვალებს?
განა ვაჟკაცად
ყოვლად შემძლე დრომ
და მარადმა ბედისწერამ არ გამომჭედეს?..
იქნებ გეგონა,
მე ცხოვრებას შევიძულებდი,
შევაფარებდი თავს უდაბნოს,
რადგან სუყველა ჩემი ოცნება არ
დამიმწიფდა?
მომხედე — აქ ვზი და ვძერწავ პირველ
ადამიანებს,
ახალ მოდგმას,
ჩემი საკუთარ თავის მსგავსად,
რათა იმათაც, ისე როგორც მე მჩვევია,
იტანჯონ და წასკდეთ ტირილი,
დატკბნენ ცხოვრებით, იმხიარულონ
და არ გარგუნონ პატივისდება —
დასტურ ჩემსავით!

# მგზავრის ღამეული სიმღერა

მშვიდია მთები, დუმს მწვერვალები,
ვერ იგრძნობ თრთოლვას,
ხის წვეროებში
არ კრთება ქროლვა.
ფრინველის ძილი არ არხევს ტოტსაც,
დუმან ჩიტები.
დაიცა ცოტაც,
შენც დამშვიდდები!

# გ ა ნ ი მ ე დ ი

მფენ ცისკრის ნათელს,
უხვი შუქით გინდა შემიპყრო,
გაზაფხულო, მიჯნურო ჩემო!
სიყვარულის ათასნაირი სიტკბოებით
გულს მიკუმშავს
შენი მარადი
მზის გულის სითბო,
უსასრულო მშვენიერება!
ნეტავ შემეძლოს, მოგეხვიო,
მოგიმწყვდიო ამ ხელებში!

შენს თბილ მკერდს
მივაყრდნობ თავს, ძალამიხდილი
და გულს მივაჭდობ
შენს ყვავილებს, მწვანე ბალახებს.
გამიგრილე ჩემი მკერდის
ეს უკვდავი მწყურვალება,

სახიერო დილის ნიავო!
როგორ მიხმობენ ბულბულები
ნისლდაღვრილი ველებიდან სასიყვარულოდ...
ვისწრაფვი! მოვდივარ!
მაგრამ საით? ვიცოდე, საით?

მაღლა, ცისაკენ მივისწრაფვი!
ღრუბლები უკვე ეშვებიან შესახვედრად,
ცურვით მოდიან
ცეცხლოვანი სიყვარულისთვის.
ჩემკენ! ჩემკენ!
აქ, თქვენს ნიაღში, —
სულ უფრო ზევით! —
გარემოცული, მოვიცავ!
მაღლა!
შენი მკერდისკენ მოვალ, მამავ,
ყოვლადმპყრობელო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთგულება

ამბავი

მთის ამ სოფელში თოთხმეტი კომლიდან ერთიღა დარჩა; ოჯახის პატრონი სოლომანი ამჟამად ოთხმოცი წლისაა. სქელი კაცია, ისე ზანტად დაიარება, თითქოს ეზარებაო. ლაპარაკიც ძალიან დინჯი იცის, ყოველი სიტყვის თქმისას მაღლა იცქირება, მოლაპარაკეს თვალებში იშვიათად შეხედავს და თუ შეხედა, ეს იმას ნიშნავს, რაც ვთქვი, ყველაფერი მართალიაო. მართლაც, ნაღდი კაცია სოლომანი, ტყუილად არაფერს იტყვის. ცხოვრებაში ბევრი ავი და კარგი, სიმწარე და სიტკბო უგემია და ბევრი გამოცდილებაც დაუგროვებია. თვითონაც ამბობს ხოლმე: ერთი ჩემს თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ ყველაფერი გადამიტანიაო.

სწორედ სოლომანმა მიამბო ეს ამბავი:

— ხალხმა აქედან გადასახლება რომ დაიწყო, მე ჯერ კიდევ ჯანზე ვიყავი და ავფორიაქდი — ჩემი შვილიცა სახლდებოდა და მეც მაგულიანებდა, წამოდი, იქიდან როგორ გიპატრონოო. ერთ დილას შინიდან რომ გამოვედი, მივიხედ-მოვიხედე, ჩემს სახლ-კარსა და ღობე-ყორეს თვალი შევავლე, მამა-პაპათა ნაწვალებნაოფლარ ადგილებს შევხედე, ფეხს ფეხი მივადგი და აქედან არ დავიძარი, დავრჩი და დავრჩი. დღის ლუკმას აქაცა ვშოულობ, წყლითა და ჰაერით მდიდარი ვარ, სხვა მე არაფერი მინდა!

ჩემ თანასოფლელთა ნასახლარებს რომ გადავხედავ, ვაი დედასა, როგორ ჩამოიშალნენ! არა, სანამ ცოცხალი ვარ, მე ასე ვერ მივატოვებ! განა არ ვიცი, როცა მოვკვდები, ჩემი სახლიც ასე ჩამოხვავდება, მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ, ამას ვერ ვიზამ.

...ერთხელ, შუაღამე იქნებოდა, მეზობლის ნასახლარიდან ყმუილი მომესმა. ჯერ მგელი მეგონა, ვთქვი, სად მოსულა ეს გამჩენძაღლიმეთქი, მაგრამ ბოლოს შევიცანი, ძაღლი რომ ყმუოდა, შიგადაშიგ ყეფასაც ატანდა. დილით რომ ავდექი, ნასახლარისკენ წავედი და რასა ვხედავ, ნასახლარის წინ ძაღლი წევს, დავაკვირდი და ვიცანი მეზობლის ძაღლი — ქედანა. გულახდილად გეტყვი, ძალიან გამიკვირდა, ეს ძაღლი პატრონმა ოთხი წლის უკან ლეკვი წაიყვანა და აქ როგორღა მოვიდა-მეთქი. ძაღლმა თითქოს მიცნო, თავი მაღლა ასწია და კუდიც ოდნავ გააქიცინა, მაგრამ მაინც უნდობლად მიყურებდა. ძაღლი ვერ იქნა და ვერ მივიჩვიე, შინიდან პური გავუტანე და ვაჭამე, მაინც არ გამომყვა. ასე ვკვებავდი სამი-ოთხი დღე. ღამღამობით განუწყვეტლივ ყმუოდა, ბოლოს საჭმელსაც აღარ მიეკარა. ერთ დილას რომ მივედი, ვნახე ძაღლს ჩამონგრეული სახლის კარის ზღურბლზე დაედო თავი და მომკვდარიყო.

ლევან ბოძაშვილი

დუშეთის რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფორთოხალი

უილიამ საროიანი

ნოველა

— ქუჩის კუთხეში დადგები, ყუთიდან ყველაზე დიდ ორ ფორთოხალს ამოარჩევ, ჩამოივლის თუ არა მანქანა, გაღიმებული დაანახვებ. თუ ერთს იყიდიან — ხუთი ცენტი, თუ სამს — ათი ცენტი, დუჟინი კი ოცდათხუთმეტი ცენტი დაუფასე, — არიგებდა ძია ჯეიკი ლუკს, — ოღონდ დაიმახსოვრე, სახე უნდა გიღიმოდეს. გაღიმება ხომ შეგიძლია? იშვიათად იღიმები ხოლმე, მაგრამ კარგად გამოგდის, ხომ ასეა?!

ბიჭმა თავს ძალა დაატანა და გაიღიმა, მაგრამ ძია ჯეიკს სახეზე შეატყო, ღიმილი ცუდი რომ გამოუვიდა. ბიჭს შურდა იმ ხალხის, ვისაც შეეძლო გულიანი, ხმამაღალი სიცილი, თუმცა ისინი ხომ მასავით დამფრთხალნი და დაბნეულები არ იყვნენ!

— ასეთი სერიოზული ბიჭის მნახველი არა ვარ! — უკვირდა ძია ჯეიკს. იგი ჩაცუცქდა, ბიჭს თვალებში ჩახედა და განაგრძო, — ლუკ, ფორთოხალს ვერ გაყიდი, თუ არ გაიღიმე. ხალხს უყვარს ფორთოხლის გამყიდველი პატარა, მომღიმარი ბიჭის დანახვა, აღტაცებულნი არიან ხოლმე!

ლუკი ბიძას უსმენდა, თვალებში შეჰყურებდა და მშვენივრად ხვდებოდა, ჯეიკი მასავით უმწეო და დაბნეული რომ იყო.

ჯეიკი ადგა და ზუსტად ისე ამოიოხრა, ლუკის მამამ რომ იცოდა ხოლმე.

— ლუკ, ხომ შეგიძლია ხანდახან გაიღიმო, შეგიძლია, არა?! — ისევ ჩაეკითხა ძია ჯეიკი.

— ეგ რისი მაქნისია?! — წამოიძახა უცებ ჯეიკის ცოლმა, — მასეთი რომ არ იყო, გაიტანდი და თვითონ გაყიდდი მაგ ფორთოხალს, მაგრამ როგორიც შენი ძმა იყო, შენც ისეთი ხარ. ორივენი ერთ ყალიბში ხართ ჩამოსხმული, იმას კი მიეწიე შენ!

ამ სიტყვების შემდეგ როგორ უნდა გაღიმებოდა ბიჭს?! ქალის აუტანელი ტონი, მისი უხეში სიტყვები, რომლებშიც სულმდაბლობა გამოსჭვიოდა, ყოველთვის გულს უღონებდა ჯეიკს. რა გაღიმება, რის გაღიმება, როცა ბიცოლამისი მთელი დღე გაიძახოდა: ორივენი — ბიძაც და ძმისშვილიც — ზარმაცები და მუქთახორები ხართო!

ჯეიკი ძალზე ჰგავდა თავის უფროს ძმას — ლუკის მამას, ამიტომ ქალი ყოველთვის ერთსა და იმავეს გაიძახოდა: შენი ძმის სიცოცხლე განა რამედ ღირდა — ვაჭრობა არ ეხერხებოდა, კიდევ კარგი, მოკვდაო.

ჯეიკს ცოლი ყოველთვის ჩასჩიჩინებდა:

— გაიგე, მიხვდი, ეს ამერიკაა და შინ ჯდომით ვერაფერს გახდები. ხელი გაანძრიე, ხალხში გაერიე, იქნებ, ვინმემ კარგი თვალით შემოგხედოს.

— ხალხში გავერიო? როგორ, რანაირად?! — მუდამ ერთსა და იგივეს პასუხობდა ჯეიკი.

ცოლი ამის გამო ჯეიკს ლანძღავდა:

— ვაი, შე სულელო, შენა, ფეხმძიმედ რომ არ ვიყო, როზენბერგებთან დავდგებოდი და მე შეგინახავდი ძუძუს ბავშვივით.

ჯეიკს ისეთი სასოწარკვეთილი გამომეტყველება ჰქონდა, როგორიც ლუკის მამას ჩვეოდა ხოლმე. მართალია, თვითონ უბედური იყო, მაგრამ სხვებისთვის ყოველთვის ბედნიერება უნდოდა. ალბათ, ამიტომ იყო, ლუკს ასე დაჟინებით რომ ეხვეწებოდა, გაიღიმეო.

— კარგი! — დაუყვირა მან ცოლს, — ნუ მომკალი, ნუ გამაგიჟე. ვიცი, შინ ათი ყუთი ფორთოხალი რომ გვაქვს, ვიცი, ნამცეცი პური რომ არა გვაქვს და პენი რომ პენია, ისიც კი არ გაგვაჩნია, მაგრამ ქუჩაში დავდგე და ფორთოხალი გავყიდო?! ან ორთვალათი ვატრიო ქუჩებში გასაყიდად? ნამდვილად გავგიჟდები, ნამდვილად მოვკვდები, მე ამას ვერ ავიტან!

და ჯეიკს სახეზე კვლავ ისეთი სასოწარკვეთილება აღებეჭდა, ლუკს მასზე უბედური კაცი არავინ ეგულებოდა დედამიწის ზურგზე. ბიჭს შეებრალა ბიძამისი, შეეშინდა კიდეც, არ ეტირა, ისეთი ნაღვლიანი სახე ჰქონდა.

სწორედ ამ დროს უფრო მეტად ჯეიკის ცოლმა იგრძნო შეურაცხყოფილად თავი და აღრიალდა, როგორც იცოდა ხოლმე, როცა მართლა იტანჯებოდა. თითქოს ახლა მიხვდა ოჯახს რომ უჭირდა და გული ამოუჯდა — ჯეიკთან გატარებული მწარე დღეები და გაჭირვება გაახსენდა. ბოლოს კი გონების თვალი მომავალ ბავშვზე გადაიტანა.

— კიდევ ერთი სულელი უნდა გაჩნდეს ამქვეყნად. რისი გულისთვის?! — დაიყვირა მან.

იატაკზე ფორთოხლით სავსე ყუთი იდგა, ქალი დაიხარა, ორი ცალი აიღო და ტირილით განაგრძო:

— ნოემბერი დადგა, ლუმელი რომ დავანთოთ, შეშაც კი არა გვაქვს. ნამდვილად გავიყინებით. სახლში ხორცის სუნი უნდა ტრიალებდეს. შენ კი ჭამე ეს ფორთოხალი, ჭამე და ჭამე, სანამ სული არ ამოგძვრება და არ მოისვენებ! — თან ქვითინს უმატა.

ჯეიკს გული ჩასწყდა, სიტყვა ვერ დაძრა, სკამზე ჩამოჯდა და წინ და უკან დაიწყო რყევა, თან დაფეთებული აცეცებდა თვალებს. მოდი და ამის შემდეგ გაიღიმე?!

ჯეიკის ცოლი ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, თან ტიროდა და ნერვიულად იფშვნეტდა ხელებს...

— წაიყვანე ბიჭი ქუჩის კუთხეში. იქნებ, ერთი ორი პენი იშოვოს! — უთხრა მან ბოლოს ქმარს.

ჯეიკს თითქოს არ გაუგონია, თავი არ აუღია.

— წაიყვანე-მეთქი ქუჩაში, იქნებ ხალხს გაუღიმოს და ცოტაოდენი საჭმლის ფული იშოვოს! — იყვირა ქალმა.

ამასაც თუ სიცოცხლე ჰქვია. დიდსა და პატარას თავგზა აქვს აბნეული, საშველი კი არ არის. რა ყრია ყოველდღე სკოლაში სიარულში, არითმეტიკის სწავლაში, ლექსების ზუთხვაში, ბადრიჯნის ხატვასა და სხვა სისულელეში? იჯექი გაყინულ ოთახში, სანამ ძილის დრო არ მოვა, თან, გინდა თუ არა, ჯეიკისა და მისი ცოლის გაუთავებელ დავას უსმინე, რა ხეირია ნეტავი ან ტირილში, მერე ძილში, გაღვიძებაში, ნაცრისფერი ცის დანახვაში, ცივი ჰაერის სუნთქვაში, სიცივისაგან კანკალში, სკოლაში სიარულსა და ყოველ საუზმეზე პურის მაგივრად ფორთოხლის ჭამაში?!

ჯეიკი ფეთიანივით წამოხტა და თან ცოლს ემუქრებოდა:

— მოგკლავ, დანას გულში გაგირჭობ!

ქალმა ტირილს უმატა, განერვიულებულმა კაბა წელამდე ჩაიხია და შეჰყვირა:

— მომკალი, მომკალი, ასეთ ცხოვრებას სიკვდილი მირჩევნია! ბარემ ყველანი ამოვწყდეთ!

...ჯეიკმა ცოლს ხელი მოხვია და მეორე ოთახში გაიყვანა. ლუკს გარკვევით ესმოდა, როგორ ტიროდა ქალი, როგორ კოცნიდა ქმარს და ეუბნებოდა: ნამდვილი ბავშვი ხარ, დიდი ბავშვი, ამიტომ შვილივით უნდა მოგიაროო.

ლუკი ოთახის კუთხეში იდგა და ყურს უგდებდა ყოველივეს. დრომ ისე სწრაფად გაირბინა, ვერც კი გრძნობდა, დაღლილობისა და შიმშილისაგან ფეხზე ძლივს რომ იდგა. მოწყვეტით დაეშვა სკამზე.

ღირს კი ასეთი სიცოცხლე, როცა ამქვეყნად მარტო ხარ, ახლობელი არავინ გყავს — არც დედა, არც მამა და საერთოდ, არავინ მოსიყვარულე! ლუკს თვალზე ცრემლი მოადგა, ტირილი მოუნდა, მაგრამ ცრემლი კი უშველიდა საქმეს, განა ცრემლი შველას მოჰგვრიდა?!

მეორე ოთახიდან ჯეიკი გამოვიდა, ცდილობდა, მხიარულად მოეჩვენებინა თავი:

— ლუკ, ხომ გაიგე, რაც უნდა გააკეთო, ორ დიდ ფორთოხალს ხელში დაიჭერ, გაიღიმებ და მანქანიანი ხალხი რომ ჩამოივლის, ხელს დაუქნევ. უცებ გაყიდი ერთ ყუთს! — უთხრა ბოლოს.

— გავიღიმებ, ერთი ცალი ხუთ ცენტად უნდა გავყიდო, სამი — ათად, დუჟინი ოცდათხუთმეტ ცენტად! — გაიმეორა ლუკმა.

— ყოჩაღ! — შეაქო ჯეიკმა.

ჯეიკმა იატაკიდან ფორთოხლის ყუთი



საპარლამენტო ეროვნული ბიბლიოთეკა

აილო და უკანა კარისკენ გასწია.

ქუჩაც ნაღვლიანი იყო. ჯეიკს ფორთოხლით სავსე ყუთი მიჰქონდა, გვერდით ლუკი მიჰყვებოდა; მან ერთხელ კიდევ დაარიგა ლუკი, მთელი სახით გაეღიმა.

ირგვლივ ყველაფერი ნაღვლიანი ჩანდა — ცაც, ქუჩაც, ხეები ხომ შეგებრალებოდათ და შეგებრალებოდათ — ტოტებს ერთი ფოთოლიც კი არ შერჩენოდათ... მხოლოდ ფორთოხლები გამოიყურებოდნენ უცნაურად — მათი საამო სურნელი ამ გარემოში, მართლაც, რომ საოცარი იყო!

ბიძა და ძმისშვილი ვენტურას ქუჩის კუთხემდე მივიდნენ. ამ ქუჩას ვერც ერთი მანქანა ვერ აუვლიდა გვერდს. ჯეიკმა ყუთი ტროტუარზე დადო.

— ფორთოხლის გამყიდველი როცა მარტოა, უფრო მიმზიდველია! — თქვა მან, ჩაცუცქდა და ლუკს თვალებში ჩახედა.

— ხომ არ გეშინია, დალამებამდე კიდევ ორი საათია, მეც მალე დავბრუნდები. აბა, მხნედ იყავი და ხალხს გაუღიმე, წავედი!..

— კი, აუცილებლად გავუღიმებ! — მიუგო ბიჭმა.

ჯეიკი წამოხტა, ქუჩას სირბილით გაუყვა. ლუკი კი მარტოდმარტო დარჩა ნაღვლიან სამყაროში!..

ბიჭმა ორი ყველაზე დიდი ფორთოხალი ამოიღო და მაღლა ასწია, გრძნობდა, მიმზიდველად რომ ვერ გამოიყურებოდა — ძალზე მოწყენილი იყო... ნეტავი რა მნიშვნელობა აქვს ქუჩაში დგომას, ორი დიდი ფორთოხლის ხელში ჭერას, ღიმილისთვის მზადყოფნას და ლოდინს, როდის ჩამოივლის მანქანა?!

ლუკს მოეჩვენა, თითქოს კარგა ხანმა გაიარა, სანამ მანქანას შენიშნავდა — მანქანა ქალაქიდან მოდიოდა. აი, მოახლოვდა კიდეც, ბიჭმა დაინახა — საჭესთან კაცი იჯდა, უკან — ქალი და ორი ბავშვი.

ლუკს სახე გაებადრა, მაგრამ მძღოლი მანქანის შეჩერებას არც აპირებდა. ბიჭმა ფორთოხლიანი ხელი დაუქნია, წინ წადგა და ნათლად გაარჩია მათი სახეები; უფრო მეტად სცადა გაღიმება, მაგრამ ვერ შეძლო, ლოყები ეტკინა. ისინი არ შეჩერებულან, არც მოუხედავთ, არც გაუღიმიათ მისთვის. მანქანაში მჯდომ პატარა გოგონას ღარიბი ბიჭის დანახვაზე სახეზე ზიზღიც კი გამოეხატა.

რა აზრი აქვს ქუჩაში დგომას და ფორთოხლის გაყიდვას მაშინ, როცა ხალხს თვალთმაქცურად უცინი და გინდა, თავი მოაწონო?!

რა აზრი აქვს ტყუილად კუნთების დაღლას, როცა ზოგი ასე მდიდარია, ზოგი კი — ღარიბი?! ერთი მთელ დღეს ჭამა-სმაში ატარებს, ლაღობს, მეორეს კი ლუკმა ენატრება, თავი მოსძულებია, ჩხუბობს და იხვეწება, მომკალითო?!

ბიჭმა ხელი ჩამოუშვა, სახეზე ღიმილი გაუქრა. სახანძრო ონკანს შეხედა, მერე მზერა წყალსადენის მილზე გადაიტანა, მილიდან — ვენტურას ქუჩაზე; მერე მისი მზერა და გონება მისწვდა ქუჩის ორივე მხარეზე ჩამწკრივებულ სახლებს, ადამიანებს, სოფელს, სადაც ვენახები და ხეხილის ბაღებია, მდინარეებს, მდელოებს, შემდეგ მთებს, მთებს გაღმა — უამრავ ქალაქსა და სახლს...

ღირს კი ამქვეყნად ცხოვრება, როცა ისიც არ შეგიძლია, გულგრილად შეხედო სახანძრო ონკანს, მაშინვე ცრემლი გახრჩობს?!

გზაზე კიდევ ერთი მანქანა გამოჩნდა. ლუკმა ხელახლა აღმართა ხელი და გაიღიმა. მაგრამ მაშინვე მიხვდა, მძღოლს მისთვის არც შეუხედავს. არადა სულ იაფი ღირდა ფორთოხალი — ცალი ხუთი ცენტი; შეუძლიათ, იგი ხორცისა და პურის შემდეგ მიირთვან; შეუძლიათ, ჯერ გაფცქვნან, მისი სურნელი იყნოსონ, მერე კი იგემონ; შეუძლიათ, მანქანა შეაჩერონ და სამი ცალი ათ ცენტად იყიდონ.

აი კიდევ ერთმა მანქანამ ჩაიარა, ლუკი იღიმება და ხელს უქნევს. მგზავრებმა ერთი კი შეხედეს, ეს იყო და ეს — მანქანა არც შეუჩერებიათ. რა მოხდებოდა, უკან მოეხედათ, გაეღიმათ მაინც მისთვის!

ბევრმა მანქანამ ჩაიარა... ბიჭი მიხვდა, რომ მისი ღიმილი, ტირილი და იქ დგომა ამაო იყო და ყოველივე შეძულდა... სულ ერთია, ხალხი მაინც არ იყიდის მის ფორთოხალს, ძია ჯეიკის რჩევა სულ ტყუილი გამოდგა — ერთს შეავლებდნენ ხოლმე თვალს საბრალო ბიჭუნას და გზას აგრძელებდნენ, მორჩა და გათავდა!

კარგად შეღამდა. ლუკს ეგონა, სამუდამოდ ჩამოწვა წყვდიადი და არასოდეს გათენდებოდა; ის კი სამყაროს დასასრულამდე უნდა მდგარიყო ასე — ხელაწეული, სახეზე სულელური ღიმილით.

და ეგონა, თითქოს ამქვეყნად მხოლოდ იმიტომ გაჩნდა, რომ მუდამ ასე იდგეს აქ, ქუჩის კუთხეში, იქნიოს ფორთოხლიანი ხელი და ძალაუნებურად იღიმებოდეს.

ყველაფერი წყვდიადში ჩაძირულიყო — ირგვლივ საშინელი სიცარიელე გამეფებულიყო. სახეზე ლაპალუპით ჩამოუგორდა ცრემლი — ატირდა. ატირდა იმიტომ, რომ უგულო ადამიანებს ღიმილიც კი არ ემეტებათ იმისთვის, ატირდა იმიტომ, რომ ეგონა, მთელი სამყარო წყვდიადმა მოიცვა... ჯეიკი და მისი ცოლიც მოკვდებოდა. აღარაფერი აღარ იარსებებდა — არც ქუჩები, არც სახლები, არც მდინარეები, არც მდელოები, არც ცა და არც დედამიწა — ყველაფერი გაქრებოდა ამქვეყნად, ერთი ადამიანიც აღარ იჭაჭანებდა, ერთი უკაცრიელი ქუჩაც აღარ დარჩებოდა, არც ერთი ბნელი ფანჯარა, არც ერთი დაკეტილი კარი, და ეს ყოველივე იმიტომ მოხდებოდა, რომ ადამიანებს არ უნდოდათ ეყიდათ მისი ფორთოხალი, ღიმილი რა არის, უბრალო ღიმილიც კი არ ემეტებოდათ მისთვის.

ინგლისურიდან თარგმნა
ლუიზა მიტიჩაშვილმა







ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ანსამბლ „მზიურში“, რომელმაც თავის დროზე დიდი პოპულარობა მოიპოვა მთელ საბჭოეთში და მის ფარგლებს გარეთაც, მოვიდნენ ახალი ტალანტები.

სწორედ მათი სახეები აღბეჭდა ფოტოზე ჩვენმა კორესპონდენტმა გონდო დვალიშვილმა.



# „მზიური“–1982





# ჩემი შავგვრემანი ჭიათურა

ბორის ჩხეიძე

*შესანიშნავი მწერლისა და მოღვაწის, ჩვენი ახალგაზრობის საყვარელი მეგობრის — ბორის ჩხეიძის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით ვაქვეყნებთ მოგონებას, რომელიც ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა.*

*პუბლიკაცია მოამზადა მწერლის მეუღლემ თინა ჩხეიძემ.*

1912 თუ 1913 წლის ზაფხული ილეოდა. დამწიფდა, ან როგორც სოფელ გეზრულში იტყოდნენ, დამყურჭდა, დალვინჯდა ლელვი, შეითვალა ყურძენი. სოფლის პატარა ხის საყდარში ჩვენმა მღვდელმა, დარკვეთელმა თეოფანე ბაქრაძემ, ალსავლის კარზე გამოსულმა, მრევლს შემოდგომის მოახლოება მიულოცა და წირვა ნაჩქარევად გამოიყვანა.

ამის დიდი მიზეზი ჰქონდა მამაოს — იმ საღამოს ორი ჯვრისწერა ჰქონდა დანიშნული. ეს მღვდელმსახურება ოქროს 20 მანეთი ღირდა. თუ გასამრჯელოდან დიაკვანს თითო ჯვრისწერაზე ორ-ორ მანეთს უწილადებდა, თვითონ მღვდელს 16 მანეთი მაინც რჩებოდა ქორწილში ნაქეიფებითურთ. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი მღვდელი ღვინის ჭაშნიკის მცოდნე და ნაქები მსმელი იყო. მრევლს კი სუფრაზე მისი ბანი უფრო უყვარდა, რასაც ანაფორიანი „წმინდანი“, დიდი ოსტატობით ეუბნებოდა მომღერლებს.

გეზრულში იმ ზაფხულს შემთხვევით ვიყავი; მამაჩემი იქ არ ცხოვრობდა. გეზრულში პაპაჩემი ბინადრობდა თავის მამაპაპეულზე. ამ სოფელში სახნავები არ იყო. გუთანი არც ენახათ. საშინლად მთაგორიანი ადგილი გახლდათ, მოყვითალო ფერის თირი, მწვარი, უნაყოფო...

მოსახლეობა მაინც შეძლებულად ცხოვრობდა. ხეხილით სავსე ეზოებს და სახლებს გარს ეკრა წაბლის, მუხის, წიფლის ტყეები. გეზრულელები ამ ტყეებს ამუშავებდნენ, შემოდგომით უამრავ წაბლს აგროვებდნენ, ყოველ გაზაფხულობით საახოეებს კაფავდნენ. მომწვარ ნატყევრებზე სიმინდს თესდნენ. მშიერი თირი მალე იფიტებოდა. ბუნებრივი სასუქი, ნაკელი და მჰალა თითქმის არ მოიპოვებოდა. ქიმიურ სასუქზე ხომ მაშინ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ამის მიუხედავად ზოგიერთ შერჩეულ მზისგულებზე, გვერდოებში და ღრმა ხევების ფსკერებთან ვენახს აშენებდნენ —უმთავრესად რკოს ჯიშის ვაზს. კარგი, მაგარი, სასმელად საამური ღვინით ყველა გეზრულელ ოჯახს თავი მოჰქონდა ზემოურებში.

სწორედ ამ სოფელში, 1912 თუ 1913 წლის ზაფხულის მიწურულში, როცა მღვდელმა საყდარში მარიამობის წირვა-ლოცვა გადაიხადა, ერთი დიდი ფაცაფუცი შეიქმნა — ყმაწვილები სექტემბრის დამდეგისათვის სკოლებში წასასვლელად აიშალნენ.

ამ სოფლიდან, თუ მღვდლის შვილებსაც ჩავთვლიდით, ბარე ათი მოზარდი ქუთაისში სწავლობდა, სამი — ბაქოში, ოთხი — ჭიათურაში, დანარჩენი ტყემლოვანის ორკლასიან სასწავლებელში დაიარებოდა.

მამამ მეც მითხრა, მოემზადეო. მე უკვე გავლილი მქონდა ოთხი მოსამზადებელი „ოტდელენიე“, და აი, ვინც კი სკოლებში სასწავლებლად მივდიოდით, ყველამ ერთად შევიყარეთ თავი, გზას წარმოუდგენელი სიხარულით გავუდექით. რკინიგზის სადგური, ბოსლევი, შორს არ იყო.

მე ჭიათურაში მივდიოდი. ვიწროლიანდაგიანი მატარებელი, რომლითაც ბოსლევის სადგურიდან ჭიათურაში წავედით, ნაშუადღევს მივიდა დანიშნულების ადგილას — სამთამადნო ქალაქში.

ხალხის სიმრავლე ოდნავადაც არ მეხამუშა. შემზარა მხოლოდ შავმა, უჟმურმა ფერმა — ყველაფერი გაჭვარტლული იყო. რაღა თქმა უნდა, მადნის ნარეცხისაგან შესქელებული ყვირილაც კუპრის შავ „ტლაპოდ“ მიედინებოდა. ცხელოდა. ქუჩებში შავი მტვრის კორიანტელი იდგა. ხელდახელ მეც სხვებივით გავშავდი.

მეორე თუ მესამე დღეს, მცირე გამოცდის შემდეგ, მარგანეცის მრეწველთა საბჭოს უმაღლესი დაწყებითი სამოქალაქო სკოლის პირველ კლასში დამსვეს.

ქალაქში სიცოცხლის მძლავრი მაჯისცემა იგრძნობოდა. ყველაფერი დგანდგარებდა. ბაზარში სოფლელები ირეოდნენ. მდინარისპირას სახელოსნოებში გახურებული მუშაობა იყო. მადნით დატვირთული ურმების ქარავნებს თავი და ბოლო არ უჩანდა. მადანი აქლემებითაც კი მიჰქონდათ ბაქნებამდე.

ასეთ ორომტრიალში ხმა გავარდა, ამ დღეებში ეპისკოპოსი ჩამოდისო. ეს რომ გავიგე, აღარ დამეძინა. ძალიან მინდოდა, საკუთარი თვალით მენახა მღვდლებისთვის ეგზომ საშიში „დირექტორი“.

ნანატრი თითქოს ამიხდა. ერთხელ ვხედავ, შუა ბაზარში, ახალთახალი, პრიალა ეტლი მოდის. შიგ ორი შავი ცხენი უბია. ეტლი, ვიცოდი, ჭიათურაში სახსენებლადაც არ იყო. აქ კი ვხედავ, ნამდვილი ეტლი მოდის. მაშინვე ქუჩაში გავვარდი. ახლო ვნახავ-მეთქი ეპისკოპოსს, ვუთხარი საკუთარ თავს და ასი თვალი გამოვიბი. ეტლის უკანა სავარძელზე ორი კაცი გამოჭიმულა. ერთი შავწვერულვაშა, მეტისმეტად ლამაზი ვაჟკაცი — სერთუკით. მეორე პირველზე სქელი, ისიც პირგაპარსული იყო. არაჩვეულებრივად ბუჩქა ულვაშები წვერს ზევიდან გადმოფარებოდა. თავზე ხუჭუჭი ქოჩორი ჰქონდა, მაგრამ კეფაზე, რასაც იმერლები საგვირგვინეს ეძახიან, მელოტის საკმაო დიდი მთვარე ამოდიოდა. ეს უბრალო ხალხი ეპისკოპოსის მსახურები იქნებიან-მეთქი, ვიფიქრე, რაკი ჭიათურის საყვარელმა, ხუმარა კაცმა, ტექნიკოსმა იონა ბელიაშვილმა და მისმა თანმხლებმა ნიკიფორე ასათიანმა (იონა აკაკი ბელიაშვილის მამა იყო, ნიკიფორე კი ლევან ასათიანისა) ეტლში მსხდომთ გაუცინეს და გამოელაპარაკნენ.

მაგრამ ეტლში ხომ კიდევ მესამე იჯდა, კოფოზე; წარმოუდგენლად დიდი ტანის კაცი იყო. წითელი წვერი გულმკერდზე სცემდა. თავზე პრიალა ცილინდრი ეხურა. ტანთ ეცვა რაღაც შავი, სქელი ქსოვილის ანაფორისებური არმიაკი, რომელიც წელზე წითელი შარფით მაგრად გაეკრა.

ცხენებს ისეთი ოსტატობით ნწუ-ნწუს ძახილით მოერეკებოდა, რომ ცხენის მოვლა-გახედნის ჯადოქარ „ჩალანდარ“ ვასიკო კუპრაძესაც შეეხარბებოდა; როგორ ეჭირა ავშარ-აღვირი, თავს როგორ აწევინებდა ცხენებს!

ნამდვილად ეს არის ეპისკოპოსი-მეთქი, დავასკვენი მე.

რომ იცოდეთ, როგორ მოვტყუვდი. შემდეგ გავიგე, ვინც ეპისკოპოსი მეგონა, ის მეეტლე ყოფილა. ეტლში კი ექიმი სიმონ ჯაფარიძე და მისი ძმაკაცი ალექსანდრე გამრეკელი ისხდნენ...

...დრო საინტერესოდ გადიოდა. ის პირველი წელიწადი სამთამადნო ქალაქის გაცნობას, ახალი სკოლის შეჩვევას, მასწავლებლებთან „დამეგობრებას“ მოვუნდი. ქართლიდან იმერეთში სასწავლებლად გადმოყვანილ ბიჭს, ამხანაგების მალე შეძენაც გამიჭირდა. ამის მიუხედავად, ახალ ადგილზე საქმე ცუდად როდი მიდიოდა.

ჭიათურა ბევრს აუწერია. მათ ნათქვამს ეგებ ცოტა რამ მეც დავუმატო.

ჭიათურას ჩვენს ხალხზე, ჩვენს საყვარელ სამშობლოზე, დიდი ამაგი აქვს. იქ ბევრი ქართველი შოულობდა ოჯახის სარჩენ საშუალებას. ვინ ჩამოთვლის რამდენი შესანიშნავი ინტელიგენტი ალიზარდა ამ „შავი მუშის“ ნაშოვნი კაპიკებით. ჭიათურამ პირველად ამცნო ევროპას, რა განედსა და სიგრძეზე, რომელ ვარსკვლავის ქვეშ არის ის ქვეყანა, რომელზედაც განთქმულმა მოგზაურმა მარკო პოლომ საპატიმროში რუსტიდიანოს ჩააწერინა:

„ქართველები ულამაზესი ხალხია, მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან და ერთცოლიანობას აღიარებენ“.

მარგანეცი, მადანი, რომელიც ლითონი არ არის, მაგნიტივით მიმზიდველია, ჭიათურაში დიდძალი რაოდენობით მოიპოვებოდა და ახლაც მოიპოვება.

ერთხელ ჭიათურაში ხმა გავრცელდა, კიტა აბაშიძის წაქეზებით მიხეილ ჩუბინიძემ იკისრა ურალის ქარხნებისათვის მარგანეცის უშუალოდ ჭიათურიდან მიწოდებაო. მაგრამ რუსმა მეწარმეებმა თურმე შორს დაიჭირეს. გერმანიიდან შემოზიდული ძვირადღირებული მარგანეცი არჩიეს, უშუალოდ საბადოებიდან იაფად შეზიდულს.

1914 წელს, ომის დაწყების წინ, კარგად ვიცოდი, რომ ჭიათურის სამთამადნო მრეწველობაში 14000 კაცი მუშაობდა. მუშები მაღლა, მთებზე ჩამწკრივებული მაღაროებიდან ილებდნენ მადანს. შაბათობით, „შაბაშის“ შემდეგ, ეს ხალხი ერთბაშად ჩამოდიოდა მდინარე ყვირილის მარჯვენა ნაპირის ქალაქში ხელფასის ასაღებად. მერე მთელი შემდეგი კვირის სამყოფ სანოვაგეს შეიძენდნენ და ათას სხვა საქმესაც იცილებდნენ თავიდან.

წარმოიდგინეთ, ციცქნა, ღრმა ხეობის ფსკერზე ჩაჩხირული ქალაქი, რომელსაც თოთხმეტიათასამდე მარგანეცით გათხუპნული ზანგზე უფრო შავი, მართლაც „შავი მუშა“ შესევია. და მერე როგორ იქცეოდნენ! მღეროდნენ მარსელიოზას და სხვა მისებრ მთავრობის მიერ აკრძალულ სიმღერებს.

როგორც კი მარსელიოზას გავიგონებდით, ბალღები მაშინვე სადგურისაკენ გავრბოდით. იქ ჟანდარმთა პოლკოვნიკის ბინა გვეგულებოდა (მგონი, არდანეცი იყო გვარად). ვუთვალთვალებდით. ის თავგზააბნეული სასაცილოდ ფაფხურობდა. მუშები კი კვლავ შეუპოვრად მღეროდნენ. აბა, რომელი ერთი უნდა დაეპატიმრებინა.

მრეწველები, დამქირავებლები მეტწილად უცხოელები იყვნენ. ჭიათურაში ქართველ მრეწველთა გვარებიც ისმოდა, ესენი იყვნენ: წერეთელი, ლეჟავა, ბრეგვაძე, აბაშიძე, სამხარაძე, ჩუბინიძე, ბარათაშვილი, პაპავა და სხვ.

მოიჯარადრეებს ხომ ვერც დაითვლიდით.

მადანს შორაპნამდე პატარა, ვიწროლიანდაგიანი ვაგონებით ეზიდებოდნენ. შორაპანში ის დიდ, ფართო ვაგონებში გადაჰქონდათ. ასე მიდიოდა ჩვენი მადანი ფოთში, საიდანაც ევროპაში იგზავნებოდა.

მადნის მრეწველობას ბევრი სარეცხი წყალი, გზა და წყალსადენი სჭირდებოდა. გზებს, წყალსადენებს, აბანოსაც კი ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭო აკეთებდა იმ გამოსალებით,

რასაც მას მრეწველები აძლევდნენ. სხვა იყო საფუთო გადასახადი გატანილ მადანზე. როგორც ზემოთაც ვახსენეთ, მრეწველთა საბჭო ინახავდა ჩვენს სკოლასაც...

მრეწველთა საბჭოს ხელმძღვანელ-დირექტორებს შორის ბევრი შესანიშნავი მოღვაწის სახელი ისმოდა. ისინი ყველანი ქართველები იყვნენ. თვით გიორგი ზდანევიჩიც კი, მაიაშვილი, დედით ჭიჭინაძე იყო.

ამ ხელმძღვანელ-დირექტორებს შორის ჭიათურლებს ყველას ერჩიათ კიტა აბაშიძე. კიტამ თურმე ზედმიწევნით იცოდა ენები.

ჭიათურაში უმაღლეს დაწყებით ოთხკლასიანი სკოლის გვერდით ტექნიკური სასწავლებელიც არსებობდა. ეს სასწავლებელი ამზადებდა საშუალო განათლების მქონე სამთო მრეწველობის ტექნიკოსებს. უმაღლესი დაწყებითი საქალაქო სკოლის დამთავრების შემდეგ ამ ტექნიკურ სასწავლებელში შედიოდნენ სწავლის გასაგრძელებლად ყმაწვილები. აქ შორეული ქალაქებიდანაც ბევრი მოდიოდა სასწავლებლად. მახსოვს, ერთი ჩინელიც კი სწავლობდა. არ ვიცი, შემდეგ რა ბედი ეწია მას, მაგრამ გვარი და სახელი, ლი ხუნ ლი, დღემდე არ დამვიწყნია. სხვათა შორის, გოგოები რატომღაც „დათუნია ლიხუნდის“ ეძახდნენ, უთუოდ გამოსაჯავრებლად. ლი ხუნ ლის ამაზე გული არ მოსდიოდა.

ამ ტექნიკურ სასწავლებელში ვაპირებდი მეც შესვლას. ყველამ იცოდა საქართველოში, რომ მრეწველთა საბჭოს ტექნიკური სასწავლებელი კარგ ინტელიგენტებს ამზადებდა. ამ სკოლადამთავრებულთაგან შემდეგ ბევრს ნავაწყდი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტის კათედრებზე.

განზრახვა, ამ ტექნიკუმში განმეგრძო სწავლა, ჩამეშალა. ჩვენდა საუბედუროდ, ჭიათურაში საყდარი არ იყო. „ეშმაკად და კუდიანად“ (ეს ჩვენი, ბალღების, გამოთქმა გახლდათ) ვილაცეებმა გადაწყვიტეს, ტექნიკური სასწავლებელი დაეხურათ და მისი შენობის ერთ ცარიელ დარბაზში სამლოცველო მოეწყოთ.

ამის წინააღმდეგი იყო ჭიათურლების უმრავლესობა და მით უმეტეს მთელი ახალგაზრდობა. უცხოელები და მეფის ადმინისტრაცია კი იმათ მხარეზე იყვნენ, ვისაც საყდარი სურდა. არც უცხოელებს, არც მეფის მომხრეებს უნდოდათ, ქართველ ინტელიგენციას ტექნიკური განათლება მიეღო. ქართველები დიდ ნიჭს იჩენდნენ სწავლაში და ყველას ეშინოდა, ისე არ გამოვიდეს, რომ ერთ დღეს მრეწველობა „ტუზემცებს“ შერჩეთ ხელშიო.

ტექნიკური სკოლის გადასარჩენად ქუთაისში ეპისკოპოსთან ნასული ჩვენი სამღვთო სჯულის მასწავლებელი ბარათაშვილი ხელმოცარული დაბრუნდა. როგორც გავიგეთ, ეპისკოპოსს მისთვის ეთქვა „სასულიერო სემინარია რომ იყოს, მაშინ მე, დიახ, ხელს გამოვიღებდი, სკოლას გადავარჩენდიო. საერო ჩემი საქმე არ არისო“.

არავის არავითარი ღონისძიება არ გაუვიდა ტექნიკური სასწავლებლის გადასარჩენად. მდგომარეობა ძალიან გამწვავდა.

ტექნიკური სასწავლებლის დახურვა თითქმის გადაწყდა, ხალხი კი იმედს მაინც არ კარგავდა. რადგან ამ საქმეს სათავეში კიტა აბაშიძე ჩაუდგა. ივანე გომელაურმა თავისი ქიზიყური კილოთი, რომლის მოსმენას ბალღებს არა გვერჩია რა, თქვა: „ახლა, ყმაწვილებო, ღმერთი მოწყალეა!“

კიტა აბაშიძის (ჩვენ მაშინ არ ვიცოდით, რომ იგი გამოჩენილი კრიტიკოსი იყო) მოსვლას მოწმენდილი დილის გათენებასავით ველოდით. ბიჭებმა მზვერავიც კი გავიჩინეთ. გვინდოდა, ყველაზე ადრე გაგვეგო, რას იღონებდა კიტა აბაშიძე. მზვერავად ჩვენი ამხანაგი, გიტარის დამკვრელი, მომღერალი, მომღხენი, გულქართლი ბიჭი ბორის გამრეკელი ავირჩიეთ. კარგად ვიცოდით, მისი მამა ალექსანდრე გამრეკელი კიტა აბაშიძესთან მეგობრობდა. ამაოდ დავშვრით. ბორისმა კარგი ამბავი ვერ მოგვიტანა, — მამაჩემი და კიტა მკვდრებივით არიანო.

იმედს მაინც არ ვკარგავდით. ძლიერ გავიხარეთ, როცა ერთხელ კიტა აბაშიძე და ალექსანდრე გამრეკელი, მგონი, კიდევ ვინმე ნიკო ოთხმეზური ოთხკლასიანი სკოლის ეზოში შემოსულები დავინახეთ. მათ შეხვდნენ ჩვენი მასწავლებლები: გიორგი ანთელიძე, ნიკო წუწუნავა, პარმენ ჭანიშვილი, გერვასი ბარათაშვილი. ისინი ტექნიკური სასწავლებლის ეზოში გავიდნენ.

დღემდე არ დამვიწყებია კიტა აბაშიძის სიტყვები. მან გიორგი ანთელიძეს (იგი მასწავლებლების ლიდერი იყო სწავლების საქმეში) და ჩვენი ამხანაგის შალვა დობორჯგინიძის მამას საშინლად მწუხარედ უთხრა:

—ვერაფერი გავაწყვეთ სასწავლებლის დახურვისაგან გადასარჩენად. ისღა დაგვრჩენია, ტექნიკური სკოლის დიდ დარბაზში დაარსებული საყდარი ხელში სხვას არავის ჩავუგდოთ.

— მხატვარი უკვე შიგ არის, ხატებს ხატავს ჯერჯერობით წმინდა ნინოს შესდგომია, — განაცხადა ანთელიძემ.

— წმინდა ნინო იმ სურათიდან სულაც არ გამოვა! — გადააქნია თავი მღვდელმა გერვასი ბარათაშვილმა.

— რადაო? — შეეკითხა ამ მეტად მახვილგონიერ, განათლებულ, ოქროს ჯვრით დაჯილდოებულ მღვდელს კიტა აბაშიძე.

მღვდელმა ჩაიცინა და გამკილავად მიუგო:

— წმინდა ნინო საიდან გამოვა! საჩხერელი წერეთლის გოგო ყავს „ნატურჩიცად“, მოკლე, შანტიკლერის კაბითა...

ატყდა ხარხარი.

— მაინც რა უნდა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, თუ ტექნიკური სასწავლებელი დაიხურა და შენობა დაცარიელდა?! — შეეკითხა გიორგი ანთელიძე კიტა აბაშიძეს.

— არ უნდა დაიხუროს, არ უნდა დაცარიელდეს! — გულმოსულად თქვა დობორჯგინიძემ, — ერთი იმას მოვესწროთ და მაშინ ჩვენ ვიცით!

დობორჯგანიძე უთუოდ რევოლუციას გულისხმობდა.

— თქვენ რას იტყვით, გერვასი ბატონო? — ახლა მღვდელს მიუბრუნდა კიტა აბაშიძე.

— აბა, მე რაღა ვილონო, რა შემიძლია!..

— იქნებ საყდარი სკოლისად გამოვაცხადოთ? — კვლავ თქვა კიტამ და განაგრძო; — მაშინ იმდენს მინც ვიღონებ, გერვასი, ის თქვენ ჩაგაბაროთ!

ამაზე ხკოლის მღვდელი მაშინვე დათანხმდა.

ყმაწვილები, „გოროდის კლასის“ მოსწავლეები საყდარის გახსნას დავესწარით, საჭიათურო „საყდარი“ ეპისკოპოსმა აკურთხა. მაშინ კი თვალნათლივ ენახე ნამდვილი ეპისკოპოსი. როგორ არ გავდა ეს ბერიკაცი სიმონ ჯაფარიძის მეეტლეს.

ეპისკოპოსს თავის მღვდელთმსახურებაში ჩვენი „ბატიუშკა“ გერვასი ბარათაშვილი ეხმარებოდა. გაჩაღებული საცეცხლური ერთ ჩვენ ამხანაგს ბერძენ ტუნტლიდის ეჭირა. მე ხალხში ვიდექი, უბეში „პიშკები“ მეყარა. თითო-თითოს ვილებდი და ღორმუცელა ტუნტლიდის გულის გასახეთქად ვჭამდი. ის თავის მოვალეობას — მეცეცხლურობას, პირნათლად და მარჯვედ ასრულებდა, რისთვისაც ამხანაგებმა საჩუქრად ერთი დიდი ბაკნიანი ლოკოკინა მივართვით.

შიგადაშიგ ეპისკოპოსის ლაღადსა და მღვდლის ქადაგებას სანდრო კავსაძის გუნდი ენაცვლებოდა. გალობდნენ „შენ ხარ ვენახს“. პირველს მარინე აბდუშელიშვილი ამბობდა...

„საყდრის“ კურთხევის დასასრულს კიტა აბაშიძე, კრინიცკი-დარახველიძე კართან დადგნენ. კიტას ვინმე ქობულაძე, წვრილშვილიანი კაცი მიუახლოვდა დ უსაყვედურა:

— რაღა ვქნათ, ბატონო კიტა, ახლა ტექნიკური განათლების მისაღებად ბაქოში ან თბილისში უნდა გავგზავნოთ შვილები? ამას ვინ შეძლებს, ამდენი ქონება ჭიათურაში ვის აქვს!

— ნუ დარდობთ, — უთხრა კიტამ, — ასე დიდ ხანს არ გაგრძელდება!

ალექსანდრე გამრეკელს ბევრი შვილი ჰყავდა. უთუოდ ამიტომ ბავშვები ძლიერ უყვარდა. ერთხელ საყმაწვილო საღამოზე ბავშვებს ტკბილეულით გაგვიმასპინძლდა, „ხაინდრავას“ „ზაჰოდის“ ლიმონათიც გვასვა. მერე რაღაც სახუმარო სიმღერა წამოიწყო.

ამაზე ბავშვებმა ბევრი ვიხარხარეთ, ბოლოს ჩვენც გვამღერა და გვაცეკვა. რა ბედნიერი ვიყავით იმ საღამოს ყმაწვილები, რომლებსაც ტექნიკური სკოლა ისე ულვთოდ დაგვიხურეს, სასწავლებლის ნაცვლად „საყდარი“ შეგვაჩეჩეს ხელში, ის „საყდარი“, რომელშიც ჩვენი „ბატიუშკას“ — გერვასი ბარათაშვილის დაპირების თანახმად, არასოდეს წირვა-ლოცვა არ შემდგარა.

ასე ამოგვაყრევინა ჩვენმა სამღვთო სჯულის მასწავლებელმა გულის ჯავრი მოსწავლეების მტრებზე, მათზე, ვინც ტექნიკური სასწავლებლის კარი დაგვიხურა. ამ შემთხვევიდან დიდი ხანი არ გასულა, ბარათაშვილმა უარყო სასულიერო წოდება და სამსახური — ანაფორა გაიხადა, სამოქალაქო ჩაიცვა. შემდგომ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე საქართველოს სხვადასხვა სკოლებში წარმატებით ასწავლიდა ქართულ და რუსულ ენასა და ლიტერატურას.

სამ ომს მოვესწარი. პირველი რუსეთ-იაპონიის ომი იყო, როცა სამი წლისაც არ ვიქნებოდი. იმ ომში დედის მხრიდან ორი ბიძა დავკარგე.

მეორე 1914 წლის ომი იყო. ამ ომში დავკარგე ერთი ალალი ბიძა, ჭიათურელი მაღაროს მუშა, მას სახელად ფილიმონი ერქვა.

მესამე ომი კი, რომელსაც მე შევესწარი თუ მოვესწარი, ეს იყო 1941 წელს დაწყებული და 1945 წელს დამთავრებული დიდი სამამულო ომი.

მაგრამ ჩემი მოგონება ამ შემთხვევაში 1918 წელს აქეთ არ მოდის. ჭიათურაში, ჩემ საყვარელ ჭიათურაში, ოჯახი არ იყო, რომელსაც წყეულმა ტყვიამ თავისი ღალა არ აართვა. უმუშევრობაც ჩამოვარდა. ქალაქი გმინავდა გასაჭირში. ასეთ განწყობილებაში ჩავარდნილ ჭიათურაში საჩხერიდან შემზარავი ცნობა მოვიდა — დიდი აკაკი გარდაიცვალაო.

ვინ აღწერს იმ მგლოვიარობას, რამაც შავი, მუშური ჭიათურა მოიცვა.

აკაკის ნეშტთან შეხვედრას ჭიათურის სადგურზე ალექსანდრე გამრეკელი ხელმძღვანელობდა. მან მოსწავლეები რიგრიგობით შეიყვანა ვაგონში და როცა ვილაცამ, როგორც ცუდად ჩაცმულისა, ჩემი გაგდება მოინდომა, ალექსანდრემ ხელი დამავლო, შედიო, მითხრა და მეც ვნახე გარდაცვლილი აკაკი.

იქვე ახლოს იდგა ჩემთვის უკვე ცნობილი კიტა აბაშიძე, მასთან იყვნენ ელისაბედ პეტრეს ასული წულუკიძე-წერეთლისა, ჯიბო იაშვილი, ჯიბო აბაშიძე, აკაკი მარგიანი, სესია ლეჟავა და ბევრი სხვა. თქვეს, გორიდან „ქაჯანას“ ავტორი— ნიკო ლომოურიც აქ არისო, მაგრამ მას არ ვიცნობდი და დანამდვილებით ვერას ვიტყვი.

ჭიათურა ჩემი ყმაწვილკაცობის ტკბილი, თბილი გაზაფხულია და მწარე, მწარე სუსხიანი ზამთარიც; ის სუსხიანი ზამთარი, რომელმაც ჩემ სიცოცხლეს ცოტა ფურცლები შეაცალა, მაგრამ ცეცხლიანი კვირტი შემოუნახა, რომ სხვაგან ფოთოლი კვლავ გამოელო. ახლა, ახლა... თუ ამ ქვეყნიდან მოუსვლელში, წასვლა მომიახლოვდა, მშვიდობით, ჩემო მშვენიერო, შავგვრემანო ჭიათურა!

1977 წ.

# ვახტანგ ბლაგიძე



მისი ჭიდაობის სტილი, ხალიჩაზე ციბრუტივით მოძრაობა, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ასპარეზობათა არაერთგზის ჩემპიონს, ჩვენ სასიქადულო მოჭიდავეს რომან რურუას მაგონებს. ორივე ფალავნის ტექნიკურ არსენალში თავმოყრილია ქართული ჭიდაობის ღრმა ცოდნა, უბადლო ოსტატობა, ბრწყინვალე ფიზიკური მომზადება. ალბათ გახსოვთ, ტოლიდოს (აშშ) მსოფლიო ჩემპიონატში რომან რურუამ რეკორდული ანგარიშით — 72:0 რომ დაამარცხა მეტოქეები და ოქროს მედლით მკერდდამშვენებული დაბრუნდა სამშობლოში. ჭიდაობაში რეკორდები არ არსებობს, მაგრამ რურუას ამ სენსაციურ მიღწევას ჟურნალისტებმა სწორედ „რეკორდი“ უწოდეს. თავისი სახელოვანი თანამემამულის გზას დაადგა მსოფლიოს ორგზისა და ოლიმპიადის ჩემპიონი, 26 წლის თბილისელი ფალავანი ვახტანგ ბლაგიძეც.

...ფინალური შეხვედრის დაწყებას წამები უკლია. გუგუნებს მოსკოვის ცსკას სპორტული კომპლექსი, სადაც ზაფხულის XXII ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლისათვის იბრძვიან ხუთი კონტინენტის რჩეული მოჭიდავეები.

— ვახტანგ, — ხმადაბლა ეუბნება საჭიდაოდ გამზადებულ ბლაგიძეს საშუალო ტანის, მკვრივი აგებულების ვაჟკაცი, — ხომ იცი, უნგრელი რაცი გამოცდილი მოჭიდავეა. იერიშებით ნუ გაერთობი, აზარტში არ შეხვიდე. ძუძამ განსოვდეს, ოლიმპიური ოქროს მედლისათვის იბრძვი.

ბლაგიძე ყურადღებით ისმენს რომან რურუას თითოეულ სიტყვას და თვალი ხალიჩისაკენ გაურბის. გაისმის მსაჯის სასტვენის ხმა. მეტოქეები ხალიჩის ცენტრში მიესალმებიან ერთმანეთს. ჭიდაობა დაიწყო. თბილისელი გაბედულად უტევს.

მეორე პერიოდში მსოფლიოს ჩემპიონი ი. რაცი გამეტებით დაეძგერა მეტოქეს. ყველა ცდა ამაო გამოდგა. ქართველი ფალავანი ოსტატურად იბრძოდა და ისევ ზედიზედ იწერდა გადამწყვეტ ქულებს.

გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა. ფეხზე წამომდგარი დარბაზი ტაშის გრიალით მიესალმა ოლიმპიადის ახალ ჩემპიონს ვახტანგ ბლაგიძეს.

— საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან მომილოცეს ოქროს მედლის მოპოვება, — იხსენებს ვახტანგი, — პირველ რიგში მშობლიურ სოფელ ჩოჩხათში დავრეკე, მერე დავჯექი ოლიმპიურ სოფელში და სახელდახელოდ [illegible] მისალოცი დეპეშების კითხვა დავიწყე.

კლასიკური ჭიდაობის წესებში ბოლო ხანებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. რამდენიმე წლის წინათ, როცა, მაგალითად, რომან რურუა წარმატებით იბრძოდა ხალიჩაზე და თავის მეტოქეს 24:0,5 ან 16:0 ამარცხებდა, მსაჯები არ აჩერებდნენ მას. ასეთი წესი იყო: ბრძოლა ბოლომდე უნდა გაგრძელებულიყო.

კლასიკურ ჭიდაობაში ახლა სხვანაირი წესი დამკვიდრდა: საკმარისია რომელიმე ფალავანი ორი პერიოდის განმავლობაში 12:0 ან, ვთქვათ, 13:1 დაწინაურდეს, მსაჯი კრივის მსგავსად, მაშინვე შეაჩერებს შერკინებას და აშკარა უპი-

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

## ჩვენი მიწის სასახელო დესპანი

რაოდენ სასიამოვნოა, შენს მშობლიურ მიწაზე დაბადებული და ფეხადგმული კაცი დიდ საქმეებს რომ შეეჭიდება და სახელს მოიხვეჭს!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ უცხო მხარეში შენი კუთხისა და ხალხის კულტურას, მის ზნეობრივ და სულიერ ღირებულებებს შენი საქმეებით, შენი პირადი კულტურით შეაფასებენ. შენ დესპანი ხარ შენი ერისა და უფლება არა გაქვს, ცარგი არ იყო. ლონგინოზ კაჭარავამ სწორედ ასეთი დესპანობა გაუწია მამულს.

...მაგრამ დავიწყოთ მისი ბავშვობიდან. ფოთში ყველასათვის კარგად ცნობილი კოკი (ვიქტორ) კაჭარავას ოჯახში ბიჭები იზრდებოდნენ. ლონგინოზი უმცროსი იყო. იგი განსაკუთრებული ნიშნებით არ გამოირჩეოდა თანატოლებისაგან. სხვებივით მკვირცხლი და მოუსვენარი, სხვებივით მოკრძალებული უფროსების წინაშე, სწავლობდა ბეჯითად, გადადიოდა კლასიდან კლასში და ცოდნასთან ერთად ცხოვრების ანბანს ითვისებდა, იცოდა, რომ ოჯახში დადგენილი ეთიკური ნორმების დარღვევა მკრეხელობად ჩაეთვლებოდა — მამა არასოდეს არ აპატიებდა ცუდ საქციელს, დედას ცრემლებით დაენამებოდა თვალები და ეს ყველაზე დიდი სასჯელი იქნებოდა მისთვის.

ოჯახი იყო სიკეთის, შრომისმოყვარეობის, კაიკაცობის შთაგონების წყარო, მან დათესა და აღმოაცენა მის სულში ნათელი საწყისების თესლი და აკი ახლაც იმ ოჯახური დვრიტით ცხოვრობს!

ადამიანის ბიოგრაფია ერთგვარი სივრცეა, რომელშიც, როგორც ანკარა წყალში, ირეკლება მის მიერ განვლილი გზა. ამიტომ აქაც ვერ ავუვლით გვერდს ლონგინოზის ბიოგრაფიის ნიშანსვეტებს.

ფოთის პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა გააგრძელა მოსკოვის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში რადიოკავშირისა და რადიომაუწყებლობის ფაკულტეტზე. 1957 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა. 1959 წლიდან მოსკოვშია სხვადასხვა თანამდებობაზე თავისი სპეციალობის მიხედვით.

ლონგინოზი განუწყვეტლივ სრულყოფს თავის ცოდნას, ღრმად წვდება რადიოკავშირის საიდუმლოებებს და ერთ-ერთი გამოჩენილი სპეციალისტი ხდება. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1967-1974 წლებში იგი სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს კოსმოსური კავშირის სადგურის უფროსია, ამავე დროს ხელმძღვანელობს უაღრესად მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობას, შემდეგ ინიშნება კოსმოსური კავშირის ცენტრის ხელმძღვანელად.

ლონგინოზ კაჭარავას ავტობიოგრაფიაში მოკრძალებით არის ასახული მისი დამსახურების აღიარებანი: 1974 წელს მას მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა „მეგობრობის“ მედლით აჯილდოებს. იმავე წელს ენიჭება „ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ფრიადოსნის“ საპატიო წოდება და ჯილდოვდება ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის პატარა ოქროს მედლით; სულ ახლახან კი მიენიჭა „რსფსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის“ წოდება.

ახლა ლონგინოზს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროში მნიშვნელოვანი თანამდებობა უჭირავს — „გლავროსსვიაზსტროის“ უფროსის მოადგილეა. არასპეციალისტს გაუჭირდება იმ სამუშაოთა მასშტაბების წარმოდგენა, რასაც ჩვენი თანამემამულე ასრულებს.

ლონგინოზი ჯერ ახალგაზრდა კაცია, იმ ასაკშია, როცა ადამიანის შემოქმედებითი ძალები იფურჩქნება, გონებრივი შესაძლებლობანი ახალ სიმაღლეებს აღწევს. წინ ცხოვრების დიდი გზა აქვს გასავლელი. ეს ძიების, კვლევის, რადიოტექნიკის საიდუმლოებათა სფეროში გაბედული შეჭრის, მიგნებებისა და დაძაბული შრომის გზაა. სწორედ ასეთი ცხოვრება ანიჭებს ადამიანს სიხარულს, უხვეჭს სახელს არა მარტო მას, არამედ იმ მიწასაც, საიდანაც ის წამოვიდა.

ლონგინოზის ფოთელ მეგობრებს ახარებთ მისი წარმატებანი და ახალ, კიდევ უფრო სასახელო საქმეებს მოელიან მისგან.

**ილია ქოიავა**

ფოთის საქალაქო გაზეთი „ახალი კოლხეთი“ 13 ივლისი 1982 წ.

## სპორტი

რატესობის მქონე ფალავანს მიანიჭებს გამარჯვებას.

ასე იყო წელსაც, ოსლოში (ნორვეგია) გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე.

57 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოლიმპიური ჩემპიონი ვახტანგ ბლაგიძე სტარტზე საკმაოდ გამოცდილ ბულგარელ ფალავანს ვ. ცეკოვს შეხვდა. ეს პაექრობა 2 წუთში შეწყდა. თბილისელმა მოჭიდავემ მსოფლიოსა და ოლიმპიადის არაერთგზის პრიზიორს ცეკოვს ორ წუთში 13:0 მოუგო და მსაჯმა ბრძოლა შეაჩერა.

ვახტანგის მეორე მეტოქე მისთვის კარგად ნაცნობი უნგრელი ი. რაცი იყო. რა თქმა უნდა, უნგრელი რევანშისათვის ემზადებოდა. დაიწყო ბრძოლა და... მეოთხე წუთზე ანგარიში გახდა 12:0. ჭიდაობა შეჩერდა. მსაჯმა გამარჯვება ქართველ ფალავანს მიაკუთვნა.

ვახტანგ ბლაგიძემ ფინალში გაიკაფა გზა. იქაც ნაცნობ ფალავანთან მოუხდა შერკინება. ეს გახლდათ იაპონელი ა. მიახარა, რომელიც ჩვენმა თანამემამულემ მეხიკოს მსოფლიოს პირველობაზე ბეჭებით გააკრა ხალიჩას. იაპონელთან ბრძოლას 2 წუთი დასჭირდა. 12:0 ასე დამთავრდა ეს ფინალური შერკინება.

მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლის მოსაპოვებლად თბილისელ ფალავანს 8 წუთი დასჭირდა. ამ ხნის მანძილზე მან 37 მომგებიანი ქულა აართვა მეტოქეებს, თვითონ კი არც ერთი ქულა არ დაუთმია. „თბილისელი პატარა ტანკი“ — ასეთი სახელი შეარქვა საზღვარგარეთის პრესამ ვახტანგ ბლაგიძეს.

...ეს იყო რამდენიმე წლის წინათ. ქალაქ მახარაძის ჭიდაობის სპეციალიზებული სპორტსკოლის კარი მორიდებით შეაღო თხელმა ჭაბუკმა.

— რა გინდა, ბიძიკო? — ჰკითხა მწვრთნელმა კუთხეში ატუზულ ბიჭს.

— ჭიდაობა... ჭიდაობა მინდა ვისწავლო, — უფრო დაიმორცხვა ახლად მოსულმა.

მწვრთნელმა შეხედა კაფანდარა ბიჭს, გაიღიმა და უთხრა:

— ნამეტანი პატარა ხარ, ძამა. ნუ იწყენ და შენგან მოჭიდავე არ გამოვა.

აილეწა ჩოჩხათიდან მახარაძეში საგანგებოდ ჩამოსული ბიჭი. ის-ის იყო საჭიდაო დარბაზიდან აპირებდა გასვლას, რომ მეორე მწვრთნელმა დაუყვავა:

— რა გქვია, ბიჭო, შენ?

— ვახტანგი, ბატონო... ვახტანგ ბლაგიძე.

სათნო სახის კაცმა, ახლა უკვე საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ჯ. მეგრელიშვილმა, ყურადღებით ახედ-დახედა გასუსულ ბიჭს, ერთხელ კიდევ გულდასმით შეათვალიერა და გადაჭრით უთხრა.

— ჩემთან ივლი. თუ გულმოდგინედ ივარჯიშებ, შენგან შეიძლება კარგი მოჭიდავე დადგეს. გაიგე?

გაიგო. ნორჩი ფალავანი გასაოცარი გულისყურით და შრომისმოყვარეობით შეუდგა ჭიდაობის რთული ილეთების დაუფლებას. ვახტანგი საათობით არ შორდებოდა ხალიჩას. უსმენდა მწვრთნელს, ვარჯიშობდა, თანდათან იკაჟებდა და იწრთობდა სხეულს.

პირველი მედალი ვახტანგ ბლაგიძემ ლაითურში გამართულ საქართველოს პირველობაზე მოიპოვა. პირველს მეორე მოჰყვა: გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ვახტანგმა საპრიზო ადგილი დაისაკუთრა.

წარუმატებლობაც იყო. საწყენი და სევდის მომგვრელი წარუმატებლობა, მაგრამ ვახტანგი არასოდეს კარგავდა წონასწორობას. ყოველთვის ინარჩუნებდა სულიერ სიმშვიდეს, საკუთარი თავისადმი რწმენას, სიმტკიცეს. სწორედ სიმტკიცემ, რწმენამ, დაუღალავმა შრომისმოყვარეობამ მოუტანა ვახტანგ ბლაგიძეს ესოდენ დიდი პოპულარობა.

სწორედ ყოველივე ზემოაღნიშნულმა ათქმევინა საბჭოთა კავშირის მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელს, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს გ. საპონოვს შემდეგი სიტყვები:

„ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს ვახტანგს წინასწარ აქვს დაგეგმილი პირველი ადგილი. ხალიჩაზე მისი ნამით გაჩერება შეუძლებელია. დევიზი: საუკეთესო დაცვა — შეტევაა, სწორედ მასზეა ნათქვამი. ვახტანგი დაუშრეტელი ენერგიის ადამიანია და მის თითოეულ შერკინებას, როგორც მწვრთნელი კი არა, როგორც აღტაცებული მაყურებელი ისე ვადევნებ თვალს“.

ვახტანგ ბლაგიძემ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ჩვენი ქვეყნის მოჭიდავეთა გუნდში. მისი ბადალი ფალავანი დღეს არავინ გვყავს პირველ ნაკრებში. ამაზე მეტყველებს ქართველი მოჭიდავის ტიტულები: საქართველოს თორმეტგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ოლიმპიადის ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი.

სპორტის დამსახურებული ოსტატი ვახტანგ ბლაგიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია. საუკეთესო მოჭიდავე კარგი სტუდენტიც გახლავთ. იგი ჩვეული მონდომებით და გულისყურით ეუფლება იურიდიულ მეცნიერებას.

— თქვენი მომავლის გეგმები? — ჩვეული შეკითხვით ვამთავრებ ვახტანგთან საუბარს.

ფალავანი იღიმება.

— ჩემპიონობა! აი რა არის ჩემი მომავლის გეგმები.

**შალვა ქირია**

# საგულისხმო, სახალისო

### 5-დან 40 ლიტრამდე

არგენტინის სატრანსპორტო პოლიციამ მოძრაობის წესების დარღვევისათვის ფულადი ჯარიმის ნაცვლად შემოიღო... ბენზინით დაჯარიმება.

ჩადენილი დანაშაულის მიხედვით, მძღოლი მოვალეა, პოლიციის განყოფილებას 5-დან 40 ლიტრამდე ძვირად ღირებული ბენზინი ჩააბაროს.

### სადილობის დროა

ინგლისელი ზოოლოგი უილიამ ფულა ირწმუნება, რომ ოთხფეხთა შორის დროის ყველაზე ზუსტი შეგრძნება კალიფორნიის სახედრებს აქვთ.

ერთ-ერთი ფერმერი, რომელთანაც უილიამ ფულა იყო ჩამომხტარი, მიწის სამუშაოებზე 100-მდე სახედარს იყენებდა. სხვადასხვა ადგილზე მომუშავე სახედრები ყოველდღე ზუსტად 12 საათზე ერთდროულად წყვეტდნენ მუშაობას და ვიდრე არ დააპურებდნენ, ნაბიჯსაც არ ინაცვლებდნენ.

### წელიწადის სხვადასხვა დროში

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საგანგებო კომისიამ ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ დაადგინა, რომ წელიწადის სხვადასხვა დროში ბავშვები სხვადასხვანაირად იზრდებიან.

მაგალითად, ოქტომბრის თვეში ბავშვი სიმაღლეში საშუალოდ 3,3 მილიმეტრს იმატებს, მაისის თვეში კი 7,3 მილიმეტრს.

### ვერცხლის ძარა

ძველი მარკის ავტომანქანებს ბევრი მოყვარული ჰყავს. არიან ისეთი კოლექციონერები, რომლებიც ჩვენი საუკუნის დასაწყისში გამოშვებულ ავტომანქანაში ორჯერ და სამჯერ მეტ ფულს იხდიან, ვიდრე ახალთახალ მოდურ მანქანაში.

დღემდე გაყიდული ძველი მარკის ავტომანქანებიდან ყველაზე მაღალ ფასში გაიყიდა 1926 წელს გამოშვებული ავტომანქანა „დაიმლერი“.

ეს მანქანა, რომელსაც 8 მეტრი სიგრძე აქვს, მაჰარაჯა რაივერის შეკვეთით დაამზადეს გერმანიაში. მანქანის ძარა მთლიანად ვერცხლისგან არის ჩამოსხმული.

ამას წინათ „დაიმლერი“ ინგლისში გამართულ ერთ-ერთ აუქციონზე 125.000 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა.

### არჩევანი თქვენზეა

იაპონელმა პარიკმახერებმა კარგი საჩუქარი მიიღეს: ერთ-ერთმა ფირმამ დაამზადა სატელევიზიო მოწყობილობა, რომლის ეკრანზე კლიენტს შეუძლია რამდენჯერმე დაინახოს თავისი გამოსახულება.. სხვადასხვანაირი მოდური ვარცხნილობით.

არჩევანი კლიენტზეა: შეარჩიოს, რომელი ვარცხნილობა მოსწონს, მის თხოვნას პარიკმახერი ზუსტად და სწრაფად დააკმაყოფილებს.

### იქნებ მართლაც ასეა?!

მეფრინველეობის ფერმებში კვერცხის დახარისხების, შეფუთვის, ტრანსპორტირებისა და საწყობებიდან მაღაზიებში ჩატვირთვა-გატანის დროს უამრავი კვერცხი ტყდება.

ილიონის უნივერსიტეტის (აშშ) თანამშრომელი ტედ ოდომი ხანგრძლივი ექსპერიმენტების შემდეგ ასეთ დასკვნამდე მივიდა: თუ კვერცხმდებელ ქათამს ჩვეულებრივ წყალთან ერთად ყოველდღიურად გაზიან წყალსაც დაალევინებთ, იგი საიმედოდ მყარნაჭუჭიან კვერცხს დადებს.

ვინ იცის, იქნებ მართლაც ასეა?!

## გიფიქრიათ ამაზე?

სტატისტიკოსების საგანგებო ჯგუფი ერთი წელი უკვირდებოდა და ზუსტად აღნუსხავდა, რა სამუშაოებს ასრულებდა დიასახლისი, რომელსაც ოჯახში ქმარი და ორი ბავშვი ჰყავდა.

დიასახლისმა ერთ წელიწადში გარეცხა 18.000 დანა, ჩანგალი და კოვზი, 13.000 თეფში, 6.000 ჭიქა, 2.000 ქვაბი და ტაფა. საოჯახო ნივთები დიასახლისს კარადიდან გამოჰქონდა, მაგიდაზე აწყობდა, შემდეგ იღებდა, ონკანთან მიჰქონდა, რეცხავდა, ამშრალებდა და ისევ კარადაში ალაგებდა.

გამოანგარიშებით დადგინდა, რომ მარტო ჩამოთვლილი საოჯახო ნივთების მიტან-მოტანით დიასახლისმა 5 ტონაზე მეტი საერთო წონის ტვირთი გადაიტანა.

სტატისტიკოსებმა გამოთვალეს, რომ ბინაში, რომელიც ორი ოთახისგან შედგებოდა, დიასახლისი ყოველდღიურად საშუალოდ 10.000 ნაბიჯს ადგამდა. როცა ამას ბაზარში, საფუნთუშესა თუ სხვადასხვა სასურსათო მაღაზიებში სიარულიც დაემატა, აღმოჩნდა, რომ დიასახლისი წელიწადში სულ ცოტა 2.000 კილომეტრს მაინც დადიოდა ფეხით.

ზემოთ მოყვანილი ციფრები, ცხადია, მხოლოდ მცირედი ნაწილია იმ დიდი შრომისა, რომელსაც დიასახლისი ყოველდღიურად ასრულებდა ოჯახში.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 2. ჩეხოსლოვაკელი ფეხბურთელი, რომელიც 1962 წელს მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში დაასახელეს; 5. შვეიცარიელი მსაჯი, რომელიც 1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მსაჯობდა; 7. ბრაზილიელი ფეხბურთელი, რომელმაც მანამდე უცნობი გარინჩა „აღმოაჩინა" და გუნდის მწვრთნელს კარდოზოს გააცნო; 9. ბრაზილიელი ფეხბურთელი, ანუ „ხალხის სიხარული"; 10. ბრაზილიელი ფეხბურთელი, რომელსაც „შავი მარგალიტი" შეარქვეს; 11. 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატში გდრ-ის ფეხბურთელთა ნაკრების წევრი; 13. თბილისის „დინამოს" სახელგანთქმული ნახევარმცველი; 14. 1954 წელს რომელი დასავლეთგერმანელი ფეხბურთელი დაასახელეს მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში? 15. ბრაზილიის ფეხბურთელთა დღევანდელი ნაკრების წევრი; 22. მოზამბიკელი ფეხბურთელი, ანუ „შავი ავაზა"; 23. ინგლისელი ფეხბურთელი, 1956 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი; 29. მსოფლიოს XII ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი სნაიპერი; 30. 1966 წ. და 1970 წ. რომელი ინგლისელი ფეხბურთელი დაასახელეს მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში? 31. თბილისის „დინამოს" თავდამსხმელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი; 32. 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ავსტრიის ფეხბურთელთა ნაკრების წევრი; 34. 1938 წელს რომელი იტალიელი ფეხბურთელი დაასახელეს მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში? 36. 1977 წელს სსრ კავშირის № 1 ფეხბურთელი; 37. ფინტების უბადლო ქართველი ოსტატი; 38. 1930 წლის მსოფლიო ჩემპიონატში პერუს ფეხბურთელთა ნაკრების წევრი; 39. სახელოვანი ქართველი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**შვეულად:** 1; ფეხბურთელი, რომელმაც ოლიმპიური თამაშების ერთ მატჩში 6 გოლი გაიტანა; 3. ქართველი თავდამსხმელი, რომელსაც „ფეხბურთის კარუზო" შეარქვეს; 4. 1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატში უნგრეთის ნაკრების წევრი; 6. შოტლანდიის ფეხბურთელთა დღევანდელი ნაკრების წევრი; 8. სახელი, რომელსაც იტალიელ გულშემატკივრებს ეძახიან; 10. 1950 წელს რომელი ესპანელი ფეხბურთელი დაასახელეს მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში; 12. 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ესპანეთის ნაკრების წევრი: 16. თბილისის „დინამოს" მეკარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი; 17. 1970 წელს რომელი ბრაზილიელი ფეხბურთელი დაასახელეს მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში? 18. არგენტინის ფეხბურთელთა დღევანდელი ნაკრების წევრი; 19. 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი სნაიპერი; 20. არგენტინის ფეხბურთელთა დღევანდელი ნაკრების წევრი; 21. შვეციის რომელი მსაჯი მონაწილეობდა 1934 წ., 1938 წ., 1950 წ. მსოფლიო პირველობების მატჩებში? 24. 1980 წელს სსრ კავშირის № 1 ფეხბურთელი; 25. 1934 წელს რომელი იტალიელი ფეხბურთელი დაასახელეს მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში? 26. 1930 წლის მსოფლიო ჩემპიონატში რომელმა არგენტინელმა ფეხბურთელმა გაიტანა 3 ბურთი ერთ მატჩში? 27. 1958 წელს რომელი ბრაზილიელი ფეხბურთელი დაასახელეს მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში? 28. 1958 წელს რომელი საბჭოთა მეკარე დაასახელეს მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში? 33. 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატში არგენტინის ნაკრების წევრი; 35. 1930 წლის მსოფლიო ჩემპიონატში პარაგვაის ნაკრების წევრი.

შეადგინა ვაჟა მაგრაქველიძემ

გარეკანის პირველ გვერდზე: სსრ კავშირის სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის ნამუშევარი „ბაზრის კუთხე" (ფოტო გრიგოლ სეირანიანისა), მეოთხე გვერდზე: „ცხენბურთი" (ფოტო სერგო ედიშერაშვილისა).

ჟურნალის ჩანართში მოთავსებულია უ. ჯაფარიძის ნამუშევრები (ფოტო გ. სეირანიანისა).

მონტაჟი მზია ლოგუაშვილისა

ვადაეცა წარმოებას 3.VIII.82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.VIII.82 წ., უე 05675, ქაღალდის ზომა $70 \times 108^{1}/_{8}$. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5, 93, ტირაჟი 51000, შეკვ. 1913, ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთავარი რედაქტორის—99-54-66,
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69,
პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება

ეროვნული ბიბლიოთეკა



მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურში გაიხსნა აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლი

სურათზე: ე. თაყაიშვილის ნათესავები და ახლობლები ძეგლთან.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო.

ძეგლის ავტორები: მოქანდაკე, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ანზორ გომართელი, არქიტექტორი რობერტ გოგოლიშვილი.

ინდექსი 76056

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა